



## შპს „გერგილი“

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნახიდურის  
ტერიტორიაზე სამელერაციო სისტემის მოწყობისა და  
ექსპლუატაციის პროექტი

## სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი: შპს გერგილი

საქართველო თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ. კორპ 7, ბინა 13

ტელ: 032 2 32 31 45; +995 599 16 44 69

Email: [info@gergili.ge](mailto:info@gergili.ge) Website [www.gergili.ge](http://www.gergili.ge)

დირექტორი: რევაზ ენუქიძე

ქ. თბილისი

2022 წ.

## სარჩევი

<b>1.</b>	<b>შესავალი</b>	<b>5</b>
1.1	ზოგადი მიმოხილვა.....	5
1.2	საკანონმდებლო საფუძველი.....	9
<b>2.</b>	<b>დაგეგმილი საქმიანობის აღწერა.....</b>	<b>11</b>
2.1	არსებული და პროექტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურა.....	11
2.2	სამშენებლო სამუშაოები .....	26
2.3	გამოყენებული ტექნიკის რაოდენობა და ჩამონათვალი .....	28
2.4	დასაქმებული პერსონალის რაოდენობა და სამუშაო საათები .....	28
2.5	დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსები .....	28
<b>3.</b>	<b>საპროექტო ტერიტორიის გარემო პირობები.....</b>	<b>29</b>
3.1	ზოგადი მიმოხილვა.....	29
3.2	კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები .....	30
3.3	გეოლოგიური გარემო.....	34
3.3.1	გეოლოგიური და გეომორფოლოგიური აგებულება .....	34
3.3.2	ტექტონიკა და სეისმურობა .....	35
3.3.3	ჰიდროგეოლოგიური პირობები .....	38
3.3.4	სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარება ქვემო ქართლის ტერიტორიაზე	
	38	
3.4	ჰიდროლოგიური პირობები.....	40
3.4.1	საშუალო წლიური ხარჯები .....	40
3.4.2	წყლის მაქსიმალური ხარჯები .....	41
3.4.3	წყლის მინიმალური ხარჯები .....	42
3.4.4	წყლის მაქსიმალური დონეები.....	43
3.4.5	კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმე.....	45
3.5	ბიოლოგიური გარემო .....	46
3.5.1	ფლორა.....	46
3.5.2	ფაუნა.....	48
3.6	საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით დაცული ტერიტორიები .....	49
3.7	ნიადაგები .....	49
3.8	ლანდშაფტი და ვიზუალური რეცეპტორები .....	51

3.9	სოციალურ-ეკონომიკური გარემო .....	51
3.9.1	მოსახლეობა და დემოგრაფია.....	52
3.9.2	სოფლის მეურნეობა .....	53
3.9.3	ეკონომიკა.....	54
3.9.4	ტურიზმი.....	55
3.9.5	ინფრასტრუქტურა .....	55
3.9.6	დასაქმება.....	56
3.10	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და არქეოლოგიური ობიექტები.....	56
<b>4.</b>	<b>ზემოქმედების შეფასება.....</b>	<b>58</b>
4.1	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება.....	58
4.2	ხმაურის გავრცელებით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება .....	60
4.3	ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე.....	62
4.4	ნიადაგის და გრუნტის დაბინძრების რისკი .....	63
4.5	ზემოქმედება წყლის გარემოზე .....	64
4.6	ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე.....	66
4.7	ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება .....	67
4.8	ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება .....	67
4.9	ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიაზე.....	68
4.10	ზემოქმედება შავ ზღვაზე და სანაპირო ზოლზე .....	68
4.11	ზემოქმედება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე .....	68
4.12	ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე .....	69
4.13	ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე .....	69
4.14	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.....	70
4.15	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე.....	70
4.16	მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება .....	71
დანართი 1.	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან .....	72
დანართი 2.	საქართველოს მელიორაციის და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხი.....	86
დანართი 3.	ნიადაგის ანალიზის შედეგები.....	90
დანართი 4.	ურთიერთშეთანხმების წერილი შპს „გეოკორპ“-სა და შპს „იდეა აგრო“-ს შორის ..	94
დანართი 5.	ბოლნისის მუნიციპალიტეტის წერილი .....	95
დანართი 6.	შპს საქართველოს მელიორაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება.....	96

საკონსულტაციო კომპანია შპს „გერგილი“-ს და შპს „გეოკროპ“-ის შესახებ ძირითადი ინფორმაცია მოცემულია **ცხრილი 1-ში**.

### ცხრილი 1. საკონტაქტო ინფორმაცია

პროექტის განმახორციელებელი	შპს „გეოკროპ“
საიდენტიფიკაციო კოდი	405409311
კომპანიის იურიდიული მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვიქტორ დოლიძის ქუჩა, N 60
კომპანიის დირექტორი	გიგი გაჩეჩილაძე
საკონტაქტო პირი	გიგი გაჩეჩილაძე
ელ. ფოსტა	<a href="mailto:g.gachechiladze@mkisa.com">g.gachechiladze@mkisa.com</a>
საკონტაქტო ნომერი	595 26 27 44
დაგეგმილი საქმიანობის ტიპი	სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია.
გარემოსდაცვითი საკონსულტაციო ორგანიზაცია	შპს „გერგილი“
დირექტორი	რევაზ ენუქიძე
საკონტაქტო პირი	გიორგი ლაცაბიძე
ელ. ფოსტა	<a href="mailto:g.latsabidze@gergili.ge">g.latsabidze@gergili.ge</a>
საკონტაქტო ტელეფონი	+995 598511460

## 1. შესავალი

### 1.1 ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნახიდურის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „გეოკროპ“-ის (ს/კ 405409311) და შპს „იდეა აგრო“-ს (ს/კ: 405407304) საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 80.02.61.291; 80.02.61.290; 80.06.61.422; 80.06.61.658; 80.06.61.656; 80.06.61.655; 80.06.61.657) ჯამური ფართობით 977 700 მ<sup>2</sup> ნუშის მრავალწლიანი ნარგავების მოსარჩყავად, სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

საპროექტო ტერიტორიის ნაწილი (ს/კ: 80.02.61.290; ს/კ: 80.06.61.422; ს/კ: 80.06.61.658; ს/კ: 80.06.61.657) წარმოადგენს შპს „გეოკროპ“-ის საკუთრებას, ხოლო ნაწილი (ს/კ: 80.02.61.291; ს/კ: 80.06.61.656; ს/კ: 80.06.61.655) წარმოადგენს შპს „იდეა აგრო“-ს საკუთრებას.

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიები წარმოადგენ მომიჯნავე მიწის ნაკვეთებს, გარემოზე ზემოქმედების და ფინანსური დანახარჯების შემცირების მიზნით აღნიშნული კომპანიების შეთანხმების საფუძველზე დაიგეგმა ერთობლივი სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია.

აღნიშნული, ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებით გადაწყდა, რომ საპროექტო ტერიტორიებისთვის სამელიორაციო სისტემის მოწყობას და ექსპლუატაციას განახორციელებს შპს „გეოკროპ“-ი და შესაბამისად „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მეშვიდე მუხლის თანახმად სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილება გაიცეს შპს „გეოკროპ“-ზე (იხ. დანართი 4).

მოცემულ ნაკვეთებზე ნუშის ნარგავების განაშენიანების არსებული და საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი შეადგენს 840 000 მ<sup>2</sup>-ს (84 ჰა).

არსებული მდგომარეობით, ნუშის ნარგავები გაშენებულია დაახლოებით 34 ჰა ფართობზე, რომლის წყლით უზრუნველსაყოფად კომპანიის საკუთრებაში არსებულ ს/კ: 80.02.61.290 ნაკვეთზე მოწყობილია რეზერვუარი, რომლის მუშა მოცულობა არ აღემატება 1260 მ<sup>3</sup>-ს. რეზერვუარის შევსება ხდებოდა სამხრეთით არსებული შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს საკუთრებაში არსებული ღია ტიპის არხიდან ხელშეკრულების საფუძველზე.

პროექტით, დაგეგმილია არსებული რეზერვუარის წყლით შევსება, როგორც ზემოაღნიშნული სამელიორაციო არხიდან ასევე, სამხრეთით მდებარე მდ. მაშავერადან. კერძოდ: მდ. მაშავერასთან მოეწყობა მარტივი ტიპის ერთსართულიანი სატუმბი სადგური. მდინარედან აღებული წყლის გადატანა რეზერვუარში მოხდება საპროექტო მიწისქვეშა მაგისტრალური N1 მილსადენით.

პროექტით დაგეგმილია ნუშის ნარგავების განაშენიანება დამატებით 50 ჰა ფართობზე. აღნიშნული წყლით უზრუნველჰყოფა განხორციელდება შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტების გამოყენებით:

ვინაიდან, არსებული ნუშის განაშენიანების ტერიტორია (34 ჰა) დაშორებულია დიდი მანძილით საპროექტო განაშენიანების (50 ჰა) ტერიტორიისგან, ასევე რელიეფური პირობებიდან გამოდინარე, პროექტის ტექნიკური გადაწყვეტებით დაგეგმილია 937მ<sup>3</sup> (სრული მოცულობა 1155მ<sup>3</sup>) მუშა მოცულობის წყლის რეზერვუარის მოწყობა პროექტით გათავლისწინებული (50 ჰა)

განაშენიანების ტერიტორიის მიმდებარედ. კომპანიის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე (ს/კ: 80.06.61.422), რომლის შევსება მოხდება მდ. მაშავარედან, რომლისთვისაც გამოყენებული იქნება ზემოაღნიშნული საპროექტო N1 მიღსადენი 1423 მ მანძილზე, ხოლო შემდგომ მოქმედობა საპროექტო რეზერვუართან დასაკავშირებლად მიწისქვეშა N2 მიღსადენი დაახლოებით 1963 მ მანძილზე.

ნუშის ნარგავების მოსარჩყავად წყალაღება მდ. მაშავერადან და სამელიორაციო არხიდან გათვალისწინებულია 7 თვის განმავლობაში (მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი).

### სქემა 1.1.1 საპროექტო ტერიტორია





სქემა 1.1.2 არსებული და საპროექტო განაშენიანების სქემა



## 1.2 საკანონმდებლო საფუძველი

დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 1 პუნქტის 1.3 ქვეპუპუნქტით (სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია) გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა წინამდებარე სკრინინგის ანგარიში, რომელიც წარდგენილი იქნება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს:

- ა) მოვლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების თაობაზე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე ამ მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე;
- გ) ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში - აგრეთვე ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე.

სააგენტოსთვის წარდგენილ სკრინინგის განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას, უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში სააგენტო უზრუნველყოფს ამ განცხადების თავის ოფიციალურ ვებგვერდსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში - მისი ნაბეჭდი ეგზემპლარის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას. საზოგადოებას უფლება აქვს, სკრინინგის განცხადების ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან 7 დღის ვადაში, ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით წარუდგინოს სააგენტოს მოსაზრებები და შენიშვნები აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით. სააგენტო იხილავს საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებს მათ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

6. სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სააგენტო შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს:

- ა) საქმიანობის მახასიათებლები:

- ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;
- ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
- ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
- ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;
- ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;
- ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;
- ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:
- ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;
- ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
- ბ.გ) ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
- ბ.დ) დაცულ ტერიტორიებთან;
- ბ.ე) დასახლებულ ტერიტორიასთან;
- ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სწვა ობიექტთან;
- ბ.ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან);
- გ) საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედება:
- გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
- გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო უფლებამოსილია გამოიყენოს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

თუ სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ სააგენტო დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს არ ექვემდებარება, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.

სკრინინგის პროცედურის დასრულებიდან 5 დღის ვადაში სააგენტო უზრუნველყოფს დასაბუთებული სკრინინგის გადაწყვეტილების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას.

## 2. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა

### 2.1 არსებული და პროექტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურა

შპს „გეოკოროპ“-ის მიერ დაგეგმილია ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნახიდურის ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 80.02.61.291; 80.02.61.290; 80.06.61.422; 80.06.61.658; 80.06.61.656; 80.06.61.655; 80.06.61.657) ჯამური ფართობით 977 700 მ<sup>2</sup> ნუშის მრავალწლიანი ნარგავების მოსარწყავად, სამელიორაციო სისტემისა მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

ნუშის ნარგავების განაშენიანების არსებული და საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი შეადგენს 840 000 მ<sup>2</sup>-ს (84 ჰა).

პროექტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

1. არსებული და საპროექტო რეზერვუარის წყლის შესავსებად მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე სატუმბი სადგურის მოწყობა;
2. მაგისტრალური N1 მილსადენი, რომელიც მოეწყობა მდ. მაშავერადან არსებულ რეზერვუარამდე, სიგრძე - 1423 მ;
3. მაგისტრალური მილსადენი N2, რომელიც დაერთდება ზემოაღნიშნულ N1 მილსადენზე და დაუკავშირდება საპროექტო რეზერვუარს, სიგრძე - 1983 მ;
4. წყლის რეზერვუარი, რომელიც მოეწყობა ს/კ: 80.06.61.422 მიწის ნაკვეთზე, მუშა მოცულობით 937მ<sup>3</sup>-ს (სრული მოცულობა 1155მ<sup>3</sup>);
5. წვეთოვანი სისტემისთვის წყლის გამანაწილებელი სადგურის მოწყობა საპროექტო რეზერვუართან, შესაბამისი ინფრასტრუქტურით (მარტივი ტიპის ერთსართულიანი ნაგებობა და ძირითად მილები).

#### არსებული რეზერვუარი X-468954; Y-4589048;

არსებული განაშენიანების ფართობის (34 ჰა) მოსარწყავად შპს „გეოკოროპ“-ის საკუთრებაში ს/კ 80.02.61.290 არსებულ ნაკვეთზე მოწყობილია წყალშემკრები რეზერვუარი, ზღვის დონიდან 511 მ სიმაღლეზე. მოცემული ტერიტორია ხასიათდება ვაკე რელიეფით და თავისუფალია მრავალწლიანი ხე-მცენარეული საფარისგან.

საპროექტო რეზერვუარიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთით 930 მეტრის მოშორებით.

არსებული რეზერვუარის წყლით მაქსიმალური შევსების პერიოდში წყალსაცავის სარკის ფართობია 570 მ<sup>2</sup>-ია. რეზერვუარის მაქსიმალური სიღრმე შეადგენს 3 მეტრს.

რეზერვუარის სრულად დაცლა ოპერირების პერიოდში დაგეგმილი არ არის, პერიოდული რეცხვის გარდა, რომელიც განხორციელდბა წელიწადში ორჯერ, შემოდგომა-გაზაფხულზე, ხოლო ნუშის ბალების რწყვის პერიოდში მუდმივ რეჟიმში მოხდება რეზერვუარის წყლით შევსება მდ. მაშავერადან და სამელიორაციო არხიდან.

სურ 2.1.1 არსებული რეზერვუარის ხედი



## არსებული რეზერვუარის წყალომომარაგება მდ. მაშავერადან და სამელიორაციო არხიდან

არსებული რეზერვუარის წყალომომარაგება განხორციელდება მდ. მაშავერადან შემდეგი პრინციპით:

მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოწყობა მარტივი ტიპის ერთსართულიანი სატუმბი სადგური, სადაც განთავსდება 20ლ/წმ წარმადობის ტუმბო. X-468793; Y4587966;

სატუმბი სადგური მოწყობა რკინა-ბეტონის ხიმინჯებზე, რომლის მოწყობისას გათვალისწინებული იქნება მდ. მაშავერას მაქსიმალური ხარჯის (100 წლიანი განმეორებადობა) გავლის შემთხვევაში წყლის მაქსიმალური დონეები და კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმე).

სატუმბი სადგურიდან წყალაღებისთვის საჭირო 27.7 მ. სიგრძის ლითონის მილი განთავსდება მდინარეში შემდეგ კოორდინატებზე X-468816; Y-4587949. მდინარის აქტიური კალაპოტიდან სატუმბი სადგური განთავსდება 20-21 მეტრის დაშორებით. მოცემულ მონაკვეთზე მდინარე მიედინება ვაკე რელიეფზე და არ ახასიათებს სიღრმითი ეროზია. საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მრავლაწლიანი ხე-მცენარეული საფარისგან. ასევე, აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგრნილი არ არის ნაყოფიერი ფენა, მცენარეული საფარი გაღარიბებულია გადამეტებული ძოვებისგან.

**შენიშვნა:** შპს „გეოკროპ“-ის მიერ აღნიშნული ტერიტორიით სარგებლობაზე მოხდება იჯარის ხელშეკრულების გაფორმება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან“.

### მაგისტრალური N1 მილსადენის დერეფანი

მდინარიდან აღებული წყალი ზემოაღნიშნული სატუმბი სადგურის გავლით გაემართება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, დაახლოებით 301.48 მეტრ მანძილზე. მოცემულ მონაკვეთში გვხვდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა 0.08-0.10 მ სიმძლავრით, ხოლო მრავწლიანი ხე-მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. მილსადენი შემდეგ კოორდინატებზე X-468570; Y-4588131; გადაკვეთს შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს საკუთრებაში არსებულ ღია ტიპის არხს საპარაკო ტექნიკური გადაწყვეტით და გაივლის არსებულ სატუმბ სადგურს, შემდგომ მილსადენი გაემართება ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით არსებულ რეზერვუარამდე. მოცემულ მონაკვეთში მილსადენი მიუყვება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებს, შემდეგ კოორდინატებზე X-468596; Y-4588327; გადაკვეთს მილსადენის დერეფანი საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზას „ფონიჭალა-მარნეული-გუგუთი სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი“. მოცემულ მონაკვეთში გზის ქვეშ სამელიორაციო სისტემებისთვის მოწყობილია სპეციალური ბეტონის სათავსო და სწორედ აქ მოხდება მილსადენის განთავსება. გზის გადაკვეთის შემდგომ მილსადენი მიემართება ჩრდილოეთით შემდგომ შემოუვლის ფერდობის აღმოსავლეთის მხრიდან და მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით 5-10<sup>0</sup> დახრილობის ფერდობზე საპროექტო რეზერვუარამდე. მაგისტრალური მილსადენის დიამეტრი შეადგენს 250 მილიმეტრს, ხოლო სრული სიგრძე 1423 მ-ს.

**შენიშვნა:** საერთაშორისო საავტომობილო გზის გადაკვეთის წერტილში, მილსადენი განთავსდება გზის ქვეშ არსებულ ჰიდრონტალურ ბეტონის სათავსოში აღნიშნულთან დაკავშირებით მოხდება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება დაინტარესებულ მხარეებთან.

**სურ. 2.1.1 საპროექტო მაგისტრალური მილსადენის დერეფანი**



სამელიორაციო არხიდან არსებული რეზერვუარის მომარაგება მოხდება შემდეგი პრინიციპით:

არსებული სატუმბი სადგური წარმოადგენს მარტივი ტიპის ერთსართულიან ნაგებობას.


შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს საკუთრებაში არსებული ღია ტიპის არხიდან დაშორება არსებულ სატუმბ სადგურამდე შეადგენს 3-4 მეტრს. სატუმბი სადგურის ტერიტორიაზე მრავლწილადინი ხე-მცენარეული საფარი არ არის წარმოდგენილი. არხი მოქცეულია ბეტონის კედლებში, შესაბისად ეროზიული პროცესების განვითარება მოსალოდნელი არ არის.

სამლიორაციო არხში განთავსდება 4 მ სიგრძის მილსადენი და არსებული სატუმბი სადგურის გავლით დაუერთდება საპროექტო ზემოაღნიშნულ მაგისტრალურ N1 მილსადენს, რომელიც გამოიყენება მდინარიდან აღებული წყლის რეზერვუარში გადასატანად.

**სურ 2.1.2 არსებული სატუმბი სადგური სამელიორაციო არხთან**



### სქემა 2.1.1 არსებული რეზერვუარის წყალმომარაგება



## წვეთოვანი გამანაწილებელი სისტემა და სატუმბი სადგური არსებულ რეზერვუართან


არსებული რეზერვუარის ჩრდილოეთით, რამდენიმე მეტრის მოშორებით მოწყობილია სამელიორაციო სისტემის გამანაწილებელი სატუმბი სადგური (წარმადობა - 0.026  $\text{m}^3/\text{წ}\text{მ}$ ), სადაც განთავსებულია დამწნები ტუმბო და მართვის სისტემები, დაახლოებით 100  $\text{m}^2$  ფართობზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე ხე-მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. ტუმბოებისთვის დამონტაჟებულია ელექტრო დაცვის პანელი სიხშირული მართვით.

## საპროექტო რეზერვუარი


საპროექტო რეზერვუარის მოწყობა დაგეგმილია ზღვის დონიდან 550 მ სიმაღლეზე, დაახლოებით 1226  $\text{m}^2$  ფართობზე, ხოლო რეზერვუარის სარკის ზედაპირის მაქსიმალური ფართობი იქნება 625  $\text{m}^2$ , საპროექტო რეზერვუარის მუშა მოცულობა არ აღემატება 937 $\text{m}^3$ -ს (სრული მოცულობა 1155 $\text{m}^3$ ). რეზერვუარის მოწყობის დროს მოხდება მაქსიმუმ 3 მეტრის სიღრმეზე გრუნტის ამოღება და რეზერვუარის გარშემო 2.71 მ სიმაღლის და 2.40 მეტრის სიგანის მიწაყრილის დამბის მოწყობა, რეზერვუარში ჩაეფინება სპეციალური წყლის გაუმტარი მემბრანა. რეზერვუარის წყლით სრული შევსების პერიოდში მუშა სიმაღლე ფსკერიდან შეადგენს 2 მეტრს, ანუ მუშა მოცულობა იქნება არაუმეტეს 937 $\text{m}^3$ . რეზერვუარის სრულად დაცლა ოპერირების პერიოდში დაგეგმილი არ არის, პერიოდული რეცხვის გარდა, რომელიც განხორციელდბა წელიწადში ორჯერ, შემოდგომა-გაზაფხულზე, ხოლო ნუშის ბაღების რწყვის პერიოდში მუდმივ რეჟიმში მოხდება რეზერვუარის წყლით შევსება მდ. მამავერადან.

რეზერვუარის მოსაწყობად დაგეგმილია 617.51  $\text{m}^3$  გრუნტის ექსკავირება, რომლის გამოყენება სრულად მოხდება რეზერვუარის დამბების მოსაწყობად, შესაბამისად, პროექტის ფარგლებში ინერტული ნარჩენის წარმოქმნა არ მოხდება.

#### **ნახ. 2.1.1 საპროექტო რეზერვუარის გეგმა**



### **ნახ. 2.1.2 საპროექტო რეზერვუარის ჭრილები**





სურ. 2.1.1 საპროექტო რეზერვუარის განთავსების ტერიტორია




## **მაგისტრალური N2 მიღსადენის დერეფანი საპროექტო რეზერვუარამდე**

საპროექტო რეზერვუარის წყალმომარაგება მოხდება მდ. მაშავერადან შემდეგი პრინციპით:

საპროექტო რეზერვუარში მდინარედან წყლის გადმოსატანად გამოყენებული იქნება მაგისტრალური N1 მიღსადენი, რომელზეც შემდეგ კოორდინატებზე X-468894.39: Y-4589034.71; დაუერთდება N2 მიღსადენი. აქედან მიღსადენის დერეფანი გაემართება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით 1963 მ მანძილზე და დაუერთდება საპროექტო რეზერვუარს. საპროექტო წყლის მიღის დიამეტრი არის 160მმ. მიღსადენი განთავსდება მიწის ზედაპირიდან 1 მეტრ სიღრმეზე, ტრანშეის სიგანე კი იქნება 60 სმ. ამ მონაკვეთზე, მიღსადენის მიმდებარედ წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. უშუალოდ მიღსადენის განთავსება დაგეგმილია არსებული გრუნტი გზის მიმდებარედ. ზოგიერთ ადგილას წარმოდგენილია რამდენიმე ერთეული დაბალი ღირებულების ბუჩქოვანი მცენარეები (8 სმ დიამეტრზე ნაკლები). მიღსადენის განთავსებისას მათი გარემოდან ამოღება არ არის დაგეგმილი. მიღსადენის დერეფანში ნაყოფიერი ფენა გვხვდება 0.08-0.10 მ სიმძლავრით. რაც შეეხება ექსკავირებულ გრუნტს, ექსკავირებული გრუნტი განთავსდება ტრანშეის მარცხენა მხარეს. მიღსადენის სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ მოხდება ნაყოფიერი ფენის განფენა მიღსადენის დერეფანში.

სქემა 2.1.2 საპროექტო რეზერვუარის წყალმომარაგება



## წვეთოვანი გამანაწილებელი სისტემა და სატუმბი სადგური საპროექტო რეზერვუართან

საპროექტო რეზერვუარის ჩრდილო-დასავლეთით, რამდენიმე მეტრის მოშორებით მოეწყობა სამელიროაციო სისტემის გამანაწილებელი სატუმბი სადგური (წარმადობა - 0.03 მ/წმ), სადაც განთავსდება ტუმბო და მართვის სისტემები, დაახლოებით 50 მ<sup>2</sup> ფართობზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე ხე-მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გვხვდება მხოლოდ 0.07 სიმძლავრით, რომლის მოხსნა მოხდება სამუშაოების დაწყებამდე და დასაწყობდება მიმდებარედ, შემდგომში გამოყენებული იქნება რეზერვუარის ფერდების რეკულტივაციისთვის. ჯამში სატუმბ-გამანაწილებელი სადგურის ტერიტორიაზე მოიხსნება დაახლოებით 3.5 მ<sup>3</sup> მოცულობის ნაყოფიერი ფენა.

ტუმბოებისთვის დამონტაჟდება ელექტრო დაცვის პანელი სიხშირული მართვით.

ხაზობრივი ნაგებობის და წვეთოვანი სარწყავი სისტემისთვის ქსელისათვის გამოიყენება PVC მილები. აღნიშნულ პროექტში გამოყენებული იქნება 50/6, 63/6, 75/6, 90/6, 110/6, 200/6, 250/6 მმ. დიამეტრის მილები (იხ. სურათი 2.2.1).

### სურათი 2.1.2. PVC მილები



### ცხრილი 2.1.2 ტექნიკური ინფრასტრუქტურის მახასიათებლები

გამოყენებული მილების დასახელება და მიზნობრიობა	ჯამური მეტრაჟი	განზომილება
პივისი მილი 50 დიამეტრი/6 ბარი	1326	მეტრი
პივისი მილი 63 დიამეტრი/6 ბარი	666	მეტრი
პივისი მილი 75 დიამეტრი/6 ბარი	408	მეტრი
პივისი მილი 90 დიამეტრი/6 ბარი	414	მეტრი
პივისი მილი 110 დიამეტრი/6 ბარი	600	მეტრი
პივისი მილი 110 დიამეტრი/10 ბარი	330	მეტრი
პივისი მილი 200 დიამეტრი/6 ბარი	1963	მეტრი
პივისი მილი 250 დიამეტრი/10 ბარი	1423	მეტრი

### ცხრილი 2.1.3 ნუშის ბალის სიარიგაციო პროგრამის მონაცემები თვეების მიხედვით

	პირველი წელი	მეორე წელი	მესამე წელი	ზრდასრული
მარტი	0	172	200	200
აპრილი	0	172	200	200
მაისი	172	172	200	200
ივნისი	216	216	250	250
ივლისი	420	420	460	460
აგვისტო	396	396	430	430
სექტემბერი	140	140	170	170
<b>ჯამი (მ³/ჰა)</b>	<b>1344</b>	<b>1688</b>	<b>1910</b>	<b>1910</b>

პროექტით, არსებული და საპროექტო რეზერვუარების შევსება მოხდება თანმიმდევრობით.

ცხრილი 2.1.4 დაზუსტებული ინფორმაცია არსებულ განაშენიანების ტერიტორიაზე (34 ჰა) წვეთოვანი რწყვის ჯერადობის და მდინარე მაშავერადან და სამელიორაციო არხიდან წყლის ამოღების შესახებ (გრაფიკი) თვის განმავლობაში.

საირიგაციო თვეების ჩამონათვალი	წყალაღება სულ მ³	მორწყვის რაოდენობა	ერთი მორწყვისთვის საჭირო წყლის რაოდენობა მ³	მდინარედან წყლის აღების რაოდენობა მ³/წმ	არხიდან წყლის აღების რაოდენობა მ3/წმ	მდინარეში დარჩენილი წყლის რაოდენობა მ³/წმ
მარტი	6800	15	1360	0.02	0.005	<b>6.08</b>
აპრილი	6800	20	1360	0.02	0.005	<b>11.08</b>
მაისი	6800	20	1360	0.02	0.005	<b>7.78</b>
ივნისი	8500	30	1360	0.02	0.005	<b>2.13</b>
ივლისი	15640	30	1360	0.02	0.005	<b>1.25</b>
აგვისტო	14620	30	1360	0.02	0.005	<b>0.67</b>
სექტემბერი	5780	20	1360	0.02	0.005	<b>0.74</b>

ცხრილი 2.1.5 დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო განაშენიანების ტერიტორიაზე (50 ჰა) წვეთოვანი რწყვის ჯერადობის და მდინარე მაშავერადან წყლის ამოღების შესახებ (გრაფიკი) თვის განმავლობაში.

საირიგაციო თვეების ჩამონათვალი	წყალაღება სულ მ³	მორწყვის რაოდენობა	ერთი მორწყვისთვის საჭირო წყლის რაოდენობა მ³	მდინარედან აღებული წყლის რაოდენობა	მდინარეში არსებული წყლის რაოდენობა	მდინარეში დარჩენილი წყალი მ3/წმ
მარტი	10000	15	2000	0.02	6.10	<b>6.08</b>
აპრილი	10000	20	2000	0.02	11.1	<b>11.08</b>
მაისი	10000	20	2000	0.02	7.80	<b>7.78</b>
ივნისი	12500	30	2000	0.02	2.15	<b>2.13</b>
ივლისი	23000	30	2000	0.02	1.27	<b>1.25</b>
აგვისტო	21500	30	2000	0.02	0.69	<b>0.67</b>
სექტემბერი	8500	20	2000	0.02	0.76	<b>0.74</b>

## 2.2 სამშენებლო სამუშაოები

დაგეგმილი სამუშაოების ფაზები:

- მოსამზადებელი სამუშაოები (ტექნიკის მობილიზება);
- ნაყოფიერი ფენის მოხსნა და განთავსება;
- საძირკვლის მოწყობა-ტრანშეების მომზადება (გრუნტის ექსკავირება);
- სატუმბი სადგურის (მდინარესთან) მოწყობა;
- რეზერვუარის და სატუმბ-გამანაწილებელი სადგურის მოწყობა;
- საოფისე შენობების სამონტაჟო სამუშოები;
- გრუნტით უკუყრილის სამუშაოების განხორციელება;
- დაზიანებული უბნების აღდგენა-რეკულტივაცია, მიწის ნაყოფიერი ფენის განფენა.

პროექტით განსაზღვული სამუშაოების განხორციელების პროცესში სამშენებლო ბანაკის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილი არ არის. საჭირო რაოდენობის ბეტონი თვითმზიდი ა/ტრანსპორტით შემოიზიდება ტერიტორიაზე. პროექტით არ ხდება მშენებლობის და მოწყობის სამუშაოებისთვის დამატებითი გზების მოწყობა. საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად გამოიყენება არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გრუნტის საავტომობილო გზები (4 - 5 მ. სიგანის) და რაც საკმარისია როგორც მოწყობის ეტაპზე ასევე ექსპლუატაციის ფაზაზე. ტექნიკის საწვავით მომარაგებისთვის სპეც/ავზის განთავსება არ იგეგმება. პროექტით არ იგეგმება არცერთი მრავალწლიანი ხე-მცენარის გარემოდან ამოღება.

საპროექტო ნაკვეთების პერიმეტრი შემოიღობება ღობით და დაცული იქნება უცხო პირების მოხვედრისაგან.

საპროექტო ტერიტორიაზე ელექტროენეგრიით მომარაგება დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ელექტროგადამცემი ხაზით, ადგილობრივი სადისტრიბუციო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საექსკავაციო სამუშაოების განხორციელებამდე კანონმდებლობის შესაბამისად პირველ ეტაპზე განხორციელდება ნაყოფიერი ფენის მოხსნა მოქმედი ნორმების შესაბამისად. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოიხსნება საშუალოდ  $0.08-0.10$  მ სისქეზე, საპროექტო ინფრასტრუქტურის განთავსების ტერიტორიებზე, მათ შორის:

- მაგისტრალური მილსადენის განთავსების დერეფანში, ჯამში დაახლოებით  $204 \text{ m}^3$  მოცულობის;
- საპროექტო რეზერვუარის განთავსების ტერიტორიაზე, დაახლოებით  $53.2 \text{ m}^3$  მოცულობის;
- საპროექტო სატუმბ-გამანაწილებელი სადგურის ტერიტორიაზე, დაახლოებით  $3.5 \text{ m}^3$  მოცულობის.

ჰუმუსოვანი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424

დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

პროექტით არსებული რეზერვუარის ჩრდილოეთით რამდენიმე მეტრის მოშორებით, დაახლოებით 100 მ<sup>2</sup> ფართობზე წერტილოვან საძირკვლებზე, განთავსებულია ე.წ სენდვიჩ-პანელის ტიპის საოფისე და სასაწყობებები შენობები მუშა პერსონალისთვის. ასევე, ადგილზე მოწყობილია საასენიზაციო ორმო, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება ხელშეკრულების საფუძველზე. პერსონალის სასმელ-სამურნეო წყალმომარაგება განხორციელდება ბუტილირებული სახით.

პროექტით ჰიდროტექნიკური ნაგებობის (რეზერვუარი) მოწყობისას გრუნტის განთავსება დაგეგმილია სამუშაო პერიმეტრზე, რომელიც მთლიანად ათვისებული იქნება რეზერვუარის ფერდების მოსაწყობად. საძირკვლის მოსაწყობად ტერიტორიაზე დამატებით ინერტული მასალის (ბუნებრივი რესურსი) გამოყენება არ იგეგმება. აღნიშნული გარემოება განპირობებულია რელიეფის სპეციფიკით, ასევე ტექნიკური გადაწყვეტით (გამოიყენება ტენშეულწევადი მემბრანა). რეზერვუარის მოწყობის შემდგომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მოხსნილი ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება რეზერვუარის ფერდების რეკულტივაციისთვის.

რეზერვუარის მიმდებარედ სატუმბი სადგურის და წვეთოვანი სისტემის გამანაწილებელი სადგურის მოწყობა დაგეგმილია ჯამში დაახლოებით 50 მ<sup>2</sup> მიწის ფართობზე. ვინაიდან სადგური თავისი ტექნიკური მოთხოვნებით მარტივი ტიპის ერთსართულიან ნაგებობას წარმოადგენს, მისი საძირკვლის მოწყობისთვის მნიშვნელოვანი რაოდენობის გრუნტის ექსკავირება საჭირო არ იქნება. საძირკვლის არმირების სამუშაოების განხორციელების შემდგომ ბეტონი თვითმზიდი ტრანსპორტით შემოიზიდება ტერიტორიაზე და აღნიშნულიდან გამომდინარე დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობის ადგილზე საჭიროება არ იქნება, რაც მნიშვნელოვნად ამცირეს გარემოს კომპონენტებზე უარყოფით ზემოქმედებას.

მაგისტრალური მილსადენების გრუნტში განთავსებისთვის საჭირო სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყენებული იქნება მხოლოდ ერთი ერთეული ტექნიკა-ექსკავატორი. ძირითადი მილსადენის დიამეტრები მერყეობს 160 მმ-დან 250 მმ მმ-დე, რომლის მთლიანი სიგრძეც შეადგენს 3386 მეტრს. სამუშაოები დიდ ადამიანურ და დროის რესურს არ მოითხოვს - ექსკავირებული გრუნტის სიღრმე 1 მეტრს არ აღემატება (გაითხრება 60 სმ სიგანის და 100 სმ სიღრმის ტრანშეა). მოქმედი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად ტრანშეის ერთ მხარეს განთავსდება მილსადენის დერეფანში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა (სიმძლავრე 0.08-0.10 მ) ხოლო, ტრანშეის მეორე მხარეს ექსკავირებული გრუნტი. მილის ტრანშეაში განთავსების შემდგომ ექსკავირებული გრუნტი მთლიანად უკუყრილის სახით იქნება გამოყენებული და შემდგომ განხორციელდება ნაყოფიერი ფენის განფენა მილსადენის დერეფანში. ძირითად მილსადენთან ერთად გრუნტში განთავსდება ელექტროკაბელი.

სამუშაოების მიმდინარეობისას წარმოქმნილი გამონამუშევარი გრუნტი სრულად იქნება გამოყენებული როგორც დამბის ფერდების მოსაწყობად, ასევე უკუყრის სამუშაოებისას.

## 2.3 გამოყენებული ტექნიკის რაოდენობა და ჩამონათვალი

სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოყენებული იქნება სამი ერთეული ტექნიკა, რაც სამუშაოების მცირე მოცულობით აიხსნება. კერძოდ:

- ექსკავატორი -1;
- თვითმცლელი -1;
- ბულდოზერი - 1;

## 2.4 დასაქმებული პერსონალის რაოდენობა და სამუშაო საათები

ხაზობრივი ნაგებობის და წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობა/მოწყობა დაგეგმილია მაქსიმუმ 180 - 190 კალენდარული დღის მანძილზე. სულ ობიექტზე მუდმივად დასაქმებული იქნება 12-15 მუშა-პერსონალი. საპროექტო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია დღის საათებში 8 სთ. სამუშაო გრაფიკით.

## 2.5 დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსები

დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესისათვის ერთ-ერთ აუცილებელ რესურსს წარმოადგენს წყალი, რომლსაც კომპანია აიღებს მდ. მაშავერადან და სამელიორაციო არხიდან, ზრდასრული ნერგის შემთხვევაში წელიწადში ერთი მორწყვისთვის წყლის მაქსიმალურ რაოდენობად განისაზღვრა (1910X84) 160440 მ<sup>3</sup> წყალი.

პროექტის ფარგლებში გამოყენებული იქნება საქმიანობის განმახორციელებლის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (84 ჰა) და პროექტის განმახორცილებელის და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. სხვა ბუნებრივი რესურსის გამოყენება პროექტით არ იგეგმება.

### 3. საპროექტო ტერიტორიის გარემო პირობები

#### 3.1 ზოგადი მიმოხილვა

ქვემო ქართლის რეგიონი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. რეგიონს დასავლეთით ესაზღვრება სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთით - თბილისი, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი, აღმოსავლეთით - კახეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით - აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ხოლო სამხრეთით - სომხეთის რესპუბლიკა. ქვემო ქართლის ფართობია 6,5 ათასი კმ<sup>2</sup>, ქვეყნის ტერიტორიის 9,3%. რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა 426.4 ათასია, რაც საქართველოს მოსახლეობის 11,4%-ს შეადგენს.

მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი რუსთავი. ქვემო-ქართლში 353 დასახლებული პუნქტია, მათ შორისაა: 5 მუნიციპალიტეტი: მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, ბოლნისი და დმანისი. 7 ქალაქი: რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრი წყარო, მარნეული, წალკა; დაბა: კაზრეთი, მანგლისი, თამარისი, შაუმიანი, ბედიანი, თრიალეთი; და 338. სოფელი.


ქვემო ქართლის რეგიონი მოქცეულია ზომიერ და სუბტროპიკულ სარტყელებს შორის. რელიეფის თავისებურების გამო, რეგიონის ჰავა საკმაოდ მშრალია. ქვემო ქართლის ბარის ნაწილი მიეკუთვნება ნახევრად ზღვიურ, საკმაოდ ზომიერ კონტინენტური ჰავის ტიპს. რეგიონის შუა სარტყელში ჰავა შედარებით გრილი და ნესტიანია. რეგიონის მოსახლეობის 39% ცხოვრობს ქალაქებსა და დაბებში, ხოლო 61% სოფლებში. მაღალმთიან დასახლებებს მიეკუთვნება დმანისის მუნიციპალიტეტის 19 (1500 მ-ზე ზევით), წალკის მუნიციპალიტეტის 46 (1500 მ-ზე ზევით) და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 35 სოფელი (1300 მ-ზე ზევით).

ბოლნისის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ქვემო ქართლში, მას აღმოსავლეთით ესაზღვრება მარნეულის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით ესაზღვრება დმანისი, ჩრდილოეთით ესაზღვრება თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი, ხოლო სამხრეთით სომხეთის რესპუბლიკა. მუნიციპალიტეტის ფართობია - 804,2 კმ<sup>2</sup>. ბოლნისის მუნიციპალიტეტის დიდი მდინარეებია ხრამი და მაშავერა. ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ასევე არის რამდენიმე ბუნებრივი და ხელოვნური ტბა.

##### ნახაზი 3.1.1. ქვემო ქართლის რეგიონის ადმინისტრაციული დაყოფის რუკა



### სურათი 3.1.2. ბოლნისის მუნიციპალიტეტი



### 3.2 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები

ბოლნისის მუნიციპალიტეტის კლიმატის პარამეტრები აღებულია დაპროექტების "სამშენებლო კლიმატოლოგია პნ 01.05-08" და მეტეოპუნქტების ბოლნისი და კაზრეთის მონაცემების მიხედვით. ქვემოთ მოყვანილი კლიმატური მახასიათებლები აღებულია აღნიშნული ნორმატივის შესაბამისი ცხრილებიდან.

სამშენებლო-კლიმატური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება II კლიმატურ და II-ბ ქვერაიონს.

#### ცხრილი 3.2.1 სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C <sup>0</sup>	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C <sup>0</sup>	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
1	2	3	4	5	6
II	II <sup>ბ</sup>	-5-დან -2- მდე	-	+21-დან +25-მდე	-

**ცხრილი 3.2.2 ატმოსფერული ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა თვეების მიხედვით**

№	დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
1	ბოლნისი	0.3	2	5.9	11.3	16.4	20.2	23.6	23.3	18.8	13.3	7	2.3	12

**ცხრილი 3.2.3 ატმოსფერული ჰაერის საშუალო მინიმალური წლიური ტემპერატურა თვეების მიხედვით**

№	დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
1	ბოლნისი	-3.4	-2.2	0.9	6.2	11.1	14.5	17.8	17.7	13.6	8.5	3.1	-1.3	7.2

**ცხრილი 3.2.4 ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტური მინიმალური წლიური ტემპერატურა თვეების მიხედვით**

№	დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
1	ბოლნისი	-24	-21	-15	-6	-1	5	7	7	-1	-6	-8	-20	-24

**ცხრილი 3.2.5 ატმოსფერული ჰაერის საშუალო მაქსიმალური წლიური ტემპერატურა თვეების მიხედვით**

№	დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
1	ბოლნისი	5.3	7.1	11.3	17.1	22.1	26.3	29.8	29.4	24.5	18.7	11.5	7.3	17.5

**ცხრილი 3.2.6 ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური წლიური ტემპერატურა თვეების მიხედვით**

№	დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
1	ბოლნისი	19	22	28	32	33	36	38	39	36	32	27	24	39

**ცხრილი 3.2.7 ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურა ( $^{\circ}\text{C}$ ) თვეების მიხედვით**

№	დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
ბოლნისი	საშუალო	-1	2	8	14	22	27	31	30	22	15	7	2	15
	საშუალო მაქსიმუმი	12	16	24	33	44	50	55	53	42	33	19	12	33
	საშუალო მინიმუმი	-6	-5	0	5	10	14	17	17	13	7	2	-4	6

**ცხრილი 3.2.8 ქარის საშუალო წლიური მიმართულებების განმეორადობა (%)**

დასახელება	ჩრდ.	ჩრდ.აღმ	აღმ.	სამხ.აღმ	სამხ.	სამხ.დას	დას.	ჩრდ.დას	შტილი
ბოლნისი	3	6	24	12	2	8	36	9	24

**ცხრილი 3.2.9 ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარე (მ/წმ)**

დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
ბოლნისი	1.8	2	2.2	2.5	2.3	2.5	2.5	2.5	2.2	1.9	1.6	1.7	2.1

**ცხრილი 3.2.10 ქარის სიჩქარე**

წელი	ქარის სიჩქარე მ/წმ									
	0-1	2-3	4-5	6-7	8-9	10-11	12-13	14-15	16-17	18-20
%	55	29.5	10.8	2.7	0.9	0.2	0.3	0.2	0.3	0.08

**ცხრილი 3.2.11 ქარის სიჩქარე**

ქარის სიჩქარე მ/წმ	1,5	3,5	5,5	7,5	9,5	13,5
განმეორადობის %	55	84,5	95,3	98,0	98,9	99,1

$$U^* = 3,5 + (5,5-3,5) / (95,3-84,5) X (95-84,5) = 5,44 \text{ მ/წმ} \approx 5,0 \text{ მ/წმ}.$$

**ცხრილი 3.2.12 ფარდობითი ტენიანობა (%)**

დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
ბოლნისი	72	68	69	66	68	63	56	56	65	72	77	75	76

**ცხრილი 3.2.13 ატმოსფერული ნალექები (მმ)**


დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
ბოლნისი	20	24	38	59	79	78	41	31	42	43	39	18	512

**ცხრილი 3.2.14 საერთო ნისლიანობა ბალებში (%)**

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0-2	32	28	23	24	24	34	39	42	40	36	28	33	32
3-7	14	15	15	16	20	23	22	22	17	8	14	15	17
8-10	54	57	62	60	56	43	39	36	43	56	58	52	51

**ცხრილი 3.2.15 ქვედა ნისლიანობა ბალებში (%)**

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0-2	49	47	41	42	41	48	53	54	47	50	43	50	47
3-7	14	15	17	18	24	23	21	20	18	15	14	12	18
8-10	37	38	42	40	35	29	26	26	35	35	43	38	35



ნახ.10.4.1 ქარისმიმართულებებისგანმეორადობა (პროცენტებში)

### 3.3 გეოლოგიური გარემო

#### 3.3.1 გეოლოგიური და გეომორფოლოგიური აგებულება

ბოლნისის მუნიციპალიტეტის რელიეფი საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია. მისი ტერიტორია განლაგებულია ზღვის დონიდან 360-2140მ სიმაღლეზე. მუნიციპალიტეტში უპირატესი განვითარება აქვს ეროზიულ-აკუმულაციური, ეროზიულ-დენუდაციური, ვულკანოგენური და ტექტოგენური გენეზისის რელიეფის ფორმებს. ეროზიულ-აკუმულაციური და ეროზიულ-დენუდაციური რელიეფი ძირითადად განვითარებულია ლოქის ქედის დასავლეთი მონაკვეთის თხემურ ზოლში და ჩრდილო ფერდობზე, რომელთა აგებულებაში მონაწილეობს ეოცენური ასაკის ვულკანოგენური ქანები (ტუფები, ტუბო-ბრექჩიები და სხვა), პალეოზოური ასაკის გრანიტოიდები და იურული პერიოდის ვულკანოგენური წყებები.

ქედის თხემური ზოლი შედარებით რბილი რელიეფით - გორაკ-ბორცვების და დაბალი შეფარდებითი სიმაღლის სერების განვითარებით ხასიათდება. ჩრდილო ფერდობი ზოგან ერთფეროვანი ციცაბო ზედაპირებით, ზოგან კი საფეხურებით ეშვება ჩრდილოეთის მიმართულებით და ღრმად არის დანაწევრებული მდ. მამავერას მარჯვენა შენაკადების (ფოლადაური, ტალავრისწყალი და სხვა) ეროზიული ხეობებით. სომხითის ქედის თხემიდან ჩრდილოეთის მიმართულებით არის ორიენტირებული ძირითადი ეროზიული ხეობების წყალგამყოფები - სომხითის ქედის შტო-ქედები - ბოლნისის და ფოლადაურის ქედები, რომლებიც მდ. მამავერას ქვემო წელის მარჯვენა მხარემდე ეშვება. ამ ქედების აბსოლუტური სიმაღლე 1,200-1,600 მ საზღვრებში იცვლება. მათ გასწვრივ მდებარე ხეობების ძირი კი მათივე თხემებიდან 400-500 მ დაბლა არის განლაგებული, რაც აქ ეროზიული ჩაჭრის მნიშვნელოვან მასშტაბებზე მიუთითებს.

მდინარეთა ხეობების ძირი ალაგ-ალაგ განიერია და რიყით აგებული ტერასების განვითარებით გამოირჩევა. ალაგ-ალაგ კი ადგილი აქვს ხეობების V-ს მაგვარი ციცაბოდ დახრილ კალთებიანი მონაკვეთების მორიგეობას ლავებით აგებული კანიონისებური ვიწრობების მქონე მონაკვეთებთან.

მუნიციპალიტეტის ჩრდილო ნაწილში უპირატესი განვითარება აქვს ვულკანური გენეზისის რელიეფს, რაც მეოთხეული ასაკის დოლერიტული ლავებით აგებული დისველის (იგივე ტაფანის) პლატოს ზედაპირით და მისი ჩრდილო კიდის გასწვრივ ლავებში ჩაჭრილი მდინარე ხრამის კანიონისებური ხეობით არის წარმოდგენილი. დისველის პლატო განლაგებულია ზ. დ. 500-800 მ სიმაღლეზე. იგი დასავლეთიდან (მდ. ხრამთან მის შენაკად თორნეს შესართავიდან) აღმოსავლეთის მიმართულებით დაახლოებით 18-19 კმ სიგრძეზე ვრცელდება, თანდათანობით დაბლდება და სოფელ ნახიდურთან (არუხლო) მთავრდება, სადაც ის მარნეულის აკუმულაციურ ვაკეს ერწყმის. პლატოს სიგანე 4 კმ-ს აღწევს. მისი ზედაპირი ძირითადად ბრტყელი და სუსტად დანაწევრებულია. დისველის პლატოს სამხრეთი კიდის გასწვრივ გაჭიმულია ცარცული ასაკის ქანებით აგებული დაბალი გორაკ-ბორცვიანი სერების მწკრივი, რომელიც შორშოლეთის მთიანი მასივის აღმოსავლეთ დაბოლოებას წარმოადგენს.

ართვინ-ბოლნისის ერთეული ხასიათდება ჯერსინიული საფუძვლით, რომელიც შედგება წინა კამბრიული და პალეოზოური გრანიტო-გნეისური და პლაგიოგრანიტებისგან, რომლებიც გადაფარულია კარბონული პერიოდის ვულკანოგენური-დანალექი ქანებით. ბოლნისის ვულკანურ-ტექტონიკური დეპრესიის ფარგლებში არსებობს ცარცული, პალეოგენური, პლიოცენის და მეოთხეული დანალექი ქანები. ეს თანმიმდევრობას შეუსაბამოდ ადევს მასტრიხტულ-პალეოცენური კირქვა და ტურბიდიტი. ქვედა ეოცენური ფორმირება

წარმოდგენილია ტერიგენული კლასტური კლდეებით. შუა ეოცენის ვულკანური ქანები შეუსაბამოდ ზემოდან ფარავს ძველ ქანებს და, შესაბამისად არის გადაფარული ზედა ეოცენი ზედაპირული საზღვაო კლასტური კლდეებით. რეგიონში ყველაზე ახალგაზრდა ქანებია მეოთხეული ვულკანური ქანები და აღუვიური დანალექი ქანები.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში შემავალი მარნეულის ვაკის დასავლეთი ნაწილი აგებულია მეოთხეული პერიოდის მდინარეული ნალექებით (თიხა, ქვიშები, კენჭები, კონგლომერატები), რაც ზემოდან ლიოსისებული თიხნარებით და თანამედროვე ნიადაგსაფარით არის დაფარული. ვაკის აღნიშნული ნაწილი მდ. მაშავერას ხეობის მირის გაყოლებით სოლისებურად არის შეჭრილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ვაკის ბრტყელი ზედაპირი განლაგებულია ზ. დ. 370-450 მ სიმაღლეზე და დანაწევრებულია მდ. ხრამის და მაშავერას კალაპოტებით და მრავალრიცხოვანი სარწყავი არხებით.

### 3.3.2 ტექტონიკა და სეისმურობა

საპროექტო ტერიტორია, ტექტონიკური დანაწევრების სქემის მიხედვით მიეკუთვნება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის ართვინ-ბოლნისის ნაოჭა ზონის (ბელტის) ბოლნისის ქვეზონას.

ბოლნისის ქვეზონაში გამოყოფილია მადნეული-ფოლადაურისა და ხრამის ბლოკები. უშუალოდ ხრამის ბლოკში გამოყოფილია თეთრიწყარო-ასურეთისა (საკვლევი არე) და ხრამის სეგმენტები. ხრამის ბლოკი იძირება სამხრეთ-დასავლეთით მდ. მტკვრის აუზში (თეთრიწყარო-ასურეთის სეგმენტი). მის აგებულებაში მონაწილეობს ზედა ცარცული ვულკანოგენურ-კარბონატული, პალეოცენური ასაკის კარბონატულ-ტერიგენული (თეთრიწყაროსა და ალგეთის წყებები), ქვედა და შუა ეოცენური ტერიგენულ-ვულკანოგენური, ზედა ეოცენური ტერიგენული, ოლიგოცენური და ქვედა მიოცენური ნალექები.

თეთრიწყარო-ასურეთის სეგმენტის ტექტონიკური მოძრაობები დაკავშირებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემასთან, რომელიც განსაზღვრავს მის ბლოკურ აგებულებას. მის ფარგლებში გამოყოფილია რამოდენიმე ნაოჭა სტრუქტურული ერთეული: დავშანთაფას სინკლინი. იგი სუბგანედური მიმართულების ბრახინაოჭს წარმოადგენს, მცირედ დახრილი ფრთებით, რომელიც აგებულია იგინბრიტული შედგენილობის ტუფებით, ხოლო გულში შიშვლდება მსხვილნატეხოვანი ტუფები.


შორშოლეთის ანტიკლინი ასევე სუბმერიდიანული გავრცელებისაა, რომელიც აგებულია ტუფებითა და ანდზიტებით, შრეებრივი ტუფებითა და ტუფოქვიშაქვებით. ანტიკლინის ფრთები გართულებულია ნასხლეტური ტიპის რღვევებით და ხასიათდება ასიმეტრიული აგებულებით.

გასანდამის სინკლინი წარმოადგენს აუზისმაგვარ ბრახინაოჭს და ხასიათდება ასიმეტრიული აგებულებით. აგებულია წვრილ და მსხვილნატეხოვანი ტუფებითა და ტუფოქვიშაქვებით.

გასანდამის ანტიკლინი ხასიათდება ასიმეტრიული აგებულებით, რომელიც აგრძელებს გასანდამის სინკლინს და აგებულია ფუმე შედგენილობის ვულკანიტებით. რაც შეეხება რღვევით აშლილობებს ბოლნისის ზონის ფარგლებში, მირითადად გავრცელებულია შესხლეტვა-შეცოცების ტიპის მცირე სიღრმის რღვევები, რომლებიც მირითადად განედური მიმართულებისაა. აღნიშნული რღვევების სიმრავლის გამო ტერიტორია ბლოკური აგებულებით გამოირჩევა. ამ რღვევებთან არის დაკავშირებული ჰიპაზისალური, ჰიპოვულკანური და სუბვულკანური სხეულები.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია MSK64 სკალის შესაბამისად მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას.

ნახაზი 3.3.2.2 საქართველოს სეისმური დარაიონების რუკა



### 3.3.3 ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების რუკის მიხედვით (ი. ბუაჩიძე 1970 წ), საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ართვინ-სომხეთის ბელტის, ჯავახეთის ქედის აღმოსავლური ფერდის ნაპრალოვანი გრუნტის წყლების რაიონში. ზედა ცარცული ვულკანოგენური და კარბონატული ნალექების წყლები ხასიათდებიან არაღრმა, ნაპრლოვანი ტიპის ცირკულაციით. აქ გავრცელებული წყლები მტკნარია, ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი ქიმიური შემადგენლობის.

### 3.3.4 სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარება ქვემო ქართლის ტერიტორიაზე

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს გეოლოგის დეპარტამენტის საინფორმაციო ბიულეტენის მიხედვით - „საქართველოში 2017 წელს სტიქიურ გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი“ - ქვემო ქართლის ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარების და რეაქტივიზაციის მთავარ მაპროვოცირებელ ფაქტორებს შორის (გეოლოგიური, სეისმური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარმოადგენს კლიმატი, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მხარის ტერიტორიაზე თუ მის ცალკეულ უბნებსა და კერებში საშიში გეოლოგიური პროცესების გამოვლინება-რეაქტივიზაციის ინტენსივობას. ეს გამოიხატება წლის ან დროის მცირე მონაკვეთში მოსული ატმოსფერული ნალექების და ამავე პერიოდში საშიში გეოლოგიური პროცესების კერების რეაქტივიზაციის ხარისხის თანხვედრაში.

2017 წელს მხარის ტერიტორიაზე მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა ხანგრძლივი გვალვიანი პერიოდის (2,5-3 თვე) გამო, საშუალო მრავალწლიურ ნორმაზე დაბალი იყო და ადგილი ქონდა ნალექების დეფიციტს. ქვემო ქართლის მხარეში ფუნქციონირებადი 5 მეტეოსადგური მონაცემების მიხედვით ნალექების დეფიციტის რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდეგია: მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (-86,2 მმ); ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (-25,9 მმ); წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (-184,1 მმ). თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახლად დამონტაჟებულ დრეს და ორბეთის მეტეოსადგურებზე დაკვირვების მოკლე რიგის გამო, საშუალომრავაწლიური ნორმა ჯერ განსაზღვრული არ არის.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე 2017 წლის განმავლობაში არსებული კლიმატურ პირობებში (მაღალმთიან ზონაში თოვლის საფარის სიმცირე, მოსული ატმოსფერული ნალექების დეფიციტი და ხანგრძლივი გვალვიანი პერიოდი) ადგილი არ ქონდა საშიში გეოლოგიური პროცესების და მოვლენების ახალი კერების და უბნების განვითარებას, ამასთან არსებულთან რეაქტივიზაციის ინტენსივობა საშუალო მრავალწლიურ ფონურ დონეს არ აღემატებოდა.

### **სურათი 3.3.3.1 სტიქიური გეოლოგიური პროცესების ზონები**



### 3.4 ჰიდროლოგიური პირობები

#### მდინარე მაშავერას მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათება

მდინარე მაშავერა სათავეს იღებს ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთ კალთებზე მდინარეების ნაზიგკლიჩისა და სარფდერეს შეერთებით 1358 მეტრის სიმაღლეზე სოფელ პანთიანთან და ერთვის მდინარე ხრამს მარჯვენა მხრიდან სოფელ არუხლოს სამხრეთით 3.5 კმ-ში.

მდინარის სიგრძე ნაზიგკლიჩისა და სარფდერეს შეერთებიდან 66 კმ, საერთო ვარდნა 968 მეტრი, საშუალო ქანობი 0.0147, წყალშემკრები აუზის ფართობი 1390 კმ<sup>2</sup>, აუზის საშუალო სიმაღლე კი 1240 მეტრია. მდინარის კალაპოტი ზომიერად კლავნილი და ძირითადად დაუტოტავია. ნაკადის სიგანე მერყეობს 2-დან 20 მეტრამდე, სიღრმე 0.4-0.6-დან 0.8-1.2 მეტრამდე, ხოლო სიჩქარე 1.5-2.0 მ/წმ-დან 0.6-0.9 მ/წმ-მდე. ნაკადის ფსკერი სათავეებში ქვიანი, ქვემოთ კი ხრეშიანია.

მდინარე საზრდოობს თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით. მისი წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება გაზაფხულის წყალდიდობით და არამდგრადი წყალმცირობით წლის სხვა პერიოდებში. გაზაფხულზე ჩამოედინება წლიური ჩამონადენის 40.0%, ზაფხულში 30.8%, შემოდგომაზე 16.8% და ზამთარში 12.4%.

მდინარე გამოიყენება ირიგაციული და ენერგეტიკული დანიშნულებით. მასზე არსებობს დმანისი-განთიადის, კაზრეთის, ზედა და იმირასანის მაგისტრალური არხები. ზედა არხზე მოწყობილია ბოლნისის ჰესი.

#### 3.4.1 საშუალო წლიური ხარჯები

მდინარე მაშავერას საშუალო წლიური ხარჯების საანგარიშო სიდიდეების დასადგენად საპროექტო კვეთში, გამოყენებულია ანალოგის მეთოდი. ანალოგად გამოყენებულია ჰიდროლოგიური საგუშავო დიდი დმანისის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემები, სადაც დაკვირვება მდინარის ჩამონადენზე მიმდინარეობდა 1944 წლიდან 1992 წლის ჩათვლით, მაგრამ ოფიციალურად გამოქვეყნებულია მხოლოდ 1986 წლის ჩათვლით. აღნიშნული მონაცემების მიხედვით მდინარე მაშავერას საშუალო წლიური ხარჯების სიდიდეები ჰას დიდი დმანისის კვეთში მერყეობენ 2.92 მ<sup>3</sup>/წმ-დან (1982 წ) 11.5 მ<sup>3</sup>/წმ-მდე (1963 წ). დაკვირვების მონაცემების 43 წლიანი ვარიაციული რიგის სტატისტიკურად დამუშავების შედეგად მომენტების მეთოდით, მიღებულია განაწილების მრუდის შემდეგი პარამეტრები:

- საშუალო წლიური ხარჯების საშუალო მრავალწლიური სიდიდე  $\bar{Q}_0 = 5.20 \text{ მ}^3/\text{წმ-ს};$
- ვარიაციის კოეფიციენტი  $Cv = 0.30;$
- ასიმეტრიის კოეფიციენტი  $Cs = 2Cv = 0.60.$

მიღებული პარამეტრებისა და სამპარამეტრიანი გამა-განაწილების ნორმირებული ორდინატების მეშვეობით დადგენილია მდინარე მაშავერას საშუალო წლიური ხარჯების სხვადასხვა უზრუნველყოფის სიდიდეები ჰას დიდი დმანისის კვეთში.

გადასვლა ჰას დიდი დმანისის, ანუ ანალოგის კვეთიდან საპროექტო კვეთში, განხორციელებულია გადამყვანი კოეფიციენტის მეშვეობით, რომლის მნიშვნელობა მიიღება

საპროექტო და ანალოგის კვეთების წყალშემკრები აუზების ფართობების ფარდობით შემდეგი გამოსახულებით:

$$K = \left( \frac{F_{sap}}{F_{an}} \right)^n$$

სადაც,  $F_{sap}$  - მდინარე მაშავერას წყალშემკრები აუზის ფართობია საპროექტო კვეთში, სადაც  $F_{sap} = 1240 \text{ კმ}^2$ -ს;  $F_{an}$  - მდინარე მაშავერას წყალშემკრები აუზის ანალოგის ფართობია, ანუ ჰ/ს დიდი დმანისის კვეთში, სადაც  $F_{an} = 570 \text{ კმ}^2$ -ს;  $n$  - რედუქციის კოეფიციენტია და ჩვენ შემთხვევაში ტოლია 0.8-ის.

აქედან, ანალოგიდან საპროექტო კვეთში გადამყვანი კოეფიციენტი ტოლი იქნება 1.862-ის.

ჰ/ს დიდი დმანისის კვეთში მიღებული საშუალო წლიური ხარჯების გადამრავლებით აღნიშნულ კოეფიციენტზე, მიიღება საშუალო წლიური ხარჯები საპროექტო კვეთში.

მდინარე მაშავერას სხვადასხვა უზრუნველყოფის საშუალო წლიური ხარჯების სიდიდეები ანალოგისა და საპროექტო კვეთებში, მოცემულია ქვემოთ 3.4.1.1 ცხრილში.

ცხრილი 3.4.1.1. მდინარე მაშავერას სხვადასხვა უზრუნველყოფის საშუალო წლიური ხარჯები

კვეთი	$F$ $\text{კმ}^2$	$\bar{Q}_0$ $\text{მ}^3/\text{წმ}$	$Cv$	$Cs$	$K$	უზრუნველყოფა P%						
						10	25	50	75	80	90	95
ანალოგი - ჰ/ს დიდი დმანისი	570	5.20	0.30	0.60	-	7.28	6.16	5.05	4.08	3.88	3.33	2.94
საპროექტო კვეთი	1240	9.68	-	-	1.862	13.6	11.5	9.40	7.60	7.22	6.20	5.47

### 3.4.2 წყლის მაქსიმალური ხარჯები

მდინარე მაშავერას წყლის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშო სიდიდეების დასადგენად საპროექტო კვეთში, გამოყენებულია ანალოგის მეთოდი. ანალოგად გამოყენებულია ჰიდროლოგიური საგუშაგო დიდი დმანისის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემები, სადაც დაკვირვება მდინარის ჩამონადენზე მიმდინარეობდა 1944 წლიდან 1992 წლის ჩათვლით, მაგრამ ოფიციალურად გამოქვეყნებულია მხოლოდ 1986 წლის ჩათვლით. აღნიშნული მონაცემების მიხედვით მდინარე მაშავერას მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები ჰ/ს დიდი დმანისის კვეთში მერყეობენ 12.7  $\text{მ}^3/\text{წმ}$ -დან (1970 წ) 314  $\text{მ}^3/\text{წმ}$ -დან (1963 წ). დაკვირვების მონაცემების 43 წლიანი ვარიაციული რიგის სტატისტიკურად დამუშავების შედეგად მომენტების მეთოდით, მიღებულია განაწილების მრუდის შემდეგი პარამეტრები:

- მაქსიმალური ხარჯების საშუალო მრავალწლიური სიდიდე  $\bar{Q}_0 = 69.9 \text{ მ}^3/\text{წმ}$ -ს;
- ვარიაციის კოეფიციენტი  $Cv = 0.90$ ;
- ასიმეტრიის კოეფიციენტი  $Cs = 3Cv = 2.70$ .

მიღებული პარამეტრებისა და სამპარამეტრიანი გამა-განაწილების ნორმირებული ორდინატების მეშვეობით დადგენილია მდინარე მაშავერას მაქსიმალური ხარჯების სხვადასხვა უზრუნველყოფის სიდიდეები ჰ/ს დიდი დმანისის კვეთში.

გადასვლა ჰ/ს დიდი დმანისის, ანუ ანალოგის კვეთიდან საპროექტო კვეთში, განხორციელებულია გადამყვანი კოეფიციენტის მეშვეობით, რომლის მნიშვნელობა მიღება საპროექტო და ანალოგის კვეთების წყალშემკრები აუზების ფართობების ფარდობით შემდეგი გამოსახულებით:

$$K = \left( \frac{F_{sap}}{F_{an}} \right)^n$$

სადაც,  $F_{sap}$  - მდინარე მაშავერას წყალშემკრები აუზის ფართობია საპროექტო კვეთში, სადაც  $F_{sap} = 1240 \text{ კმ}^2\text{-ს}; F_{an}$  - მდინარე მაშავერას წყალშემკრები აუზის ანალოგის ფართობია, ანუ ჰ/ს დიდი დმანისის კვეთში, სადაც  $F_{an} = 570 \text{ კმ}^2\text{-ს}; n$  - რედუქციის კოეფიციენტია და ჩვენ შემთხვევაში ტოლია 0.5-ის.

აქედან, ანალოგიდან საპროექტო კვეთში გადამყვანი კოეფიციენტი ტოლი იქნება 1.475-ის.

ჰ/ს დიდი დმანისის კვეთში მიღებული მაქსიმალური ხარჯების გადამრავლებით აღნიშნულ კოეფიციენტზე, მიღება მაქსიმალური ხარჯები საპროექტო კვეთში.

მდინარე მაშავერას სხვადასხვა უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები ანალოგისა და საპროექტო კვეთებში, მოცემულია ქვემოთ 3.4.2.1 ცხრილში.

ცხრილი 3.4.2.1 მდინარე მაშავერას სხვადასხვა უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯები

კვეთი	$F$ $\text{კმ}^2$	$\bar{Q}_0$ $\text{მ}^3/\text{წმ}$	$Cv$	$Cs$	$K$	უზრუნველყოფა P%				
						0.1	1	5	10	20
ანალოგი - ჰ/ს დიდი დმანისი	570	69.9	0.90	2.70	-	514	308	189	144	103
საპროექტო კვეთი	1240	103	-	-	1.47 5	758	454	279	212	152

### 3.4.3 წყლის მინიმალური ხარჯები

მდინარე მაშავერას წყლის მინიმალური ხარჯების საანგარიშო სიდიდეების დასადგენად საპროექტო კვეთში, გამოყენებულია ანალოგის მეთოდი. ანალოგად გამოყენებულია ჰიდროლოგიური საგუშავო დიდი დმანისის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემები, სადაც დაკვირვება მდინარის ჩამონადენზე მიმდინარეობდა 1944 წლიდან 1992 წლის ჩათვლით, მაგრამ ოფიციალურად გამოქვეყნებულია მხოლოდ 1986 წლის ჩათვლით. აღნიშნული მონაცემების მიხედვით მდინარე მაშავერას მინიმალური ხარჯების სიდიდეები ჰ/ს დიდი დმანისის კვეთში მერყეობენ 0.65  $\text{მ}^3/\text{წმ}$ -დან (1945 წ) 2.65  $\text{მ}^3/\text{წმ}$ -დან (1974, 1977 წწ). დაკვირვების მონაცემების 43

წლიანი ვარიაციული რიგის სტატისტიკურად დამუშავების შედეგად მომენტების მეთოდით, მიღებულია განაწილების მრუდის შემდეგი პარამეტრები:

- მინიმალური ხარჯების საშუალო მრავალწლიური სიდიდე  $\bar{Q}_0 = 1.71 \text{ მ}^3/\text{წმ-ს}$ ;
- ვარიაციის კოეფიციენტი  $Cv = 0.33$ ;
- ასიმეტრიის კოეფიციენტი  $Cs = 2Cv = 0.66$ .

მიღებული პარამეტრებისა და სამპარამეტრიანი გამა-განაწილების ნორმირებული ორდინატების მეშვეობით დადგენილია მდინარე მაშავერას მინიმალური ხარჯების სხვადასხვა უზრუნველყოფის სიდიდეები ჰ/ს დიდი დმანისის კვეთში.

გადასვლა ჰ/ს დიდი დმანისის, ანუ ანალოგის კვეთიდან საპროექტო კვეთში, განხორციელებულია გადამყვანი კოეფიციენტის მეშვეობით, რომლის მნიშვნელობა მიღება საპროექტო და ანალოგის კვეთების წყალშემკრები აუზების ფართობების ფარდობით შემდეგი გამოსახულებით:

$$K = \left( \frac{F_{sap}}{F_{an}} \right)^n$$

სადაც,  $F_{sap}$  - მდინარე მაშავერას წყალშემკრები აუზის ფართობია საპროექტო კვეთში, სადაც  $F_{sap} = 1240 \text{ კმ}^2\text{-ს}$ ;  $F_{an}$  - მდინარე მაშავერას წყალშემკრები აუზის ანალოგის ფართობია, ანუ ჰ/ს დიდი დმანისის კვეთში, სადაც  $F_{an} = 570 \text{ კმ}^2\text{-ს}$ ;  $n$  - რედუქციის კოეფიციენტია და ჩვენ შემთხვევაში ტოლია 0.8-ის.

აქედან, ანალოგიდან საპროექტო კვეთში გადამყვანი კოეფიციენტი ტოლი იქნება 1.862-ის.

ჰ/ს დიდი დმანისის კვეთში მიღებული მინიმალური ხარჯების გადამრავლებით აღნიშნულ კოეფიციენტზე, მიღება მინიმალური ხარჯები საპროექტო კვეთში.

მდინარე მაშავერას სხვადასხვა უზრუნველყოფის მინიმალური ხარჯების სიდიდეები ანალოგისა და საპროექტო კვეთებში, მოცემულია ქვემოთ 3.4.3.1 ცხრილში.

ცხრილი 3.4.3.1 მდინარე მაშავერას სხვადასხვა უზრუნველყოფის მინიმალური ხარჯები

კვეთი	$F$ $\text{კმ}^2$	$\bar{Q}_0$ $\text{მ}^3/\text{წმ}$	$Cv$	$Cs$	$K$	უზრუნველყოფა P%						
						75	80	85	90	95	97	99
ანალოგი - ჰ/ს დიდი დმანისი	570	1.71	0.33	0.66	-	1.30	1.22	1.13	1.04	0.90	0.82	0.68
საპროექტო კვეთი	1240	3.18	-	-	1.862	2.42	2.27	2.10	1.94	1.68	1.53	1.27

#### 3.4.4 წყლის მაქსიმალური დონეები

მდინარე მაშავერაზე, საპროექტო კვეთში წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულების დადგენის მიზნით, გადაღებული იქნა მდინარის კალაპოტის განივი კვეთი, რომლის მიხედვით განხორციელდა წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის  $Q = f(H)$  დამოკიდებულების მრუდის აგება.

კვეთში ნაკადის საშუალო სიჩქარე ნაანგარიშევია შეზი-მანინგის ცნობილი ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია:

$$V = \frac{h^{2/3} \cdot i^{1/2}}{n}$$

სადაც,  $h$  – ნაკადის საშუალო სიღრმეა კვეთში მ-ში;  $i$  – ნაკადის ჰიდრავლიკური ქანობია საპროექტო უბანზე;  $n$  – სიმჭიდვის კოეფიციენტია, რომლის სიდიდე, დადგენილი სპეციალური გათვლებით და ტოლია 0.050-ის.

ქვემოთ მოცემულ 3.4.4.1 ცხრილში, მოცემულია მდინარე მაშავერას წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულები საპროექტო კვეთში.

ცხრილი 3.4.4.1. მდინარე მაშავერას მაქსიმალური დონეები

კვეთი	წყლის ნაპირის ნიშნულიმ.აბს.	ფსკერის უდაბლესი ნიშნული მ.აბს	წ. მ. დ.			
			$\tau=100$ წელს, $Q=454$ $\theta^3/\sqrt{\theta}$	$\tau=20$ წელს, $Q=279$ $\theta^3/\sqrt{\theta}$	$\tau=10$ წელს, $Q=212$ $\theta^3/\sqrt{\theta}$	$\tau\tau=5$ წელს, $Q=152$ $\theta^3/\sqrt{\theta}$
საპროექტო	429.80	429.25	432.78	432.34	432.10	431.82

მდინარის ჰიდრავლიკური ელემენტები, რომელთა საფუძველზე განხორციელდა წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის  $Q=f(H)$  დამოკიდებულების მრუდების აგება საპროექტო კვეთში, მოცემულია ცხრილში 3.4.4.2.

ცხრილი 3.4.4.2 მდინარე მაშავერას ჰიდრავლიკური ელემენტები

ნიშნულები მ. აბს.	კვეთის ფართობი $\omega (\theta^2)$	ნაკადის სიგანე ( $\theta$ )	საშუალო სიღრმე $h (\theta)$	ნაკადის ქანობი $i$	ნაკადის სიჩქარე $v (\theta/\sqrt{\theta})$	წყლის ხარჯი $Q (\theta^3/\sqrt{\theta})$
429.80	2.82	10.4	0.27	0.050	0.88	2.48
430.80	21.8	23.7	0.92	0.050	1.99	43.4
431.80	73.1	78.7	0.93	0.050	2.00	146
432.30	118	101	1.17	0.050	2.33	275
432.80	174	123	1.42	0.050	2.65	461

### 3.4.5 კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმე

მდინარე მაშავერა საპროექტო უბნის სიახლოვეს შეუსწავლელია კალაპოტური პროცესების თვალსაზრისით. ამიტომ, მისი კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე საპროექტო კვეთში დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია ვ. ლაპშენკოვის მონოგრაფიაში „ჰიდროკვანძების ბიეფებში მდინარეთა კალაპოტების დეფორმაციების პროგნოზირება“ (ლენინგრადი, 1979 წ.).

აღნიშნული მეთოდის თანახმად, თავდაპირველად განისაზღვრება კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე შემდეგი ფორმულით:

$$H_{sash.} = \left[ \frac{Q_{p\%} \cdot n^{2/3}}{B} \cdot \left( \frac{10}{d_{sash}} \right) \right]^{\frac{1}{1+2/3 \cdot y}} \quad (\theta)$$

სადაც,  $Q_{p\%}$  - წყლის 1%-იანი უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯია, რაც ჩვენ შემთხვევაში მიღებულია 454 მ³/წმ-ის ტოლი;  $n$  - კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტია, რაც ტოლია 0.050-ის;  $B$  - მდგრადი კალაპოტის სიგანეა, რომლის სიდიდე დადგენილია ფორმულით:

$$B = A \cdot \frac{Q_{p\%}^{0,5}}{i^{0,2}}$$

სადაც,  $A$  - განზომილებითი კოეფიციენტია, რომლის სიდიდე მერყეობს 0.9-დან 1.1-მდე. ჩვენ შემთხვევაში მისი სიდიდე აღებულია 0.9-ის ტოლი;  $Q_{p\%}$  - აქაც 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია;  $i$  - ნაკადის ჰიდრავლიკური ქანობია საპროექტო უბანზე, რაც ტოლია 0.011-ის.

მოცემული რიცხვითი მნიშვნელობების შეყვანით ზემოთ წარმოდგენილ ფორმულაში, მიიღება მდინარე მაშავერას მდგრადი კალაპოტის სიგანე 100 წლიანი განმეორებადობის (1%-იანი უზრუნველყოფის) წყლის მაქსიმალური ხარჯის გავლის პირობებში 47.3 მეტრის ტოლი.

$d_{sash}$  - კალაპოტის ამგები მყარი მასალის საშუალო დიამეტრია მ-ში. მისი სიდიდე განისაზღვრება გამოსახულებით:  $d_{sash} = 5,5 \cdot i^{0,8}$  (θ)

აქ,  $i$  - აქაც ნაკადის ჰიდრავლიკური ქანობია საპროექტო უბანზე; აქედან კალაპოტის ამგები მყარი მასალის საშუალო დიამეტრი მიიღება 0.149 მ-ის ტოლი.

$y$  - 6. ჰავლოვსკის ფორმულაში შეზის კოეფიციენტის განმსაზღვრელი ხარისხის მაჩვენებელია. მისი სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით:  $y = 2.5 \cdot \sqrt{n} - 0.13 - 0.75 \cdot \sqrt{R} \cdot (\sqrt{n} - 0.1)$

სადაც,  $R$  - ჰიდრავლიკური რადიუსია, რაც მდინარეებისთვის საშუალო სიღრმის ტოლია, ე.ი.  $R = h$  მ. ჩვენ შემთხვევაში მდინარის საშუალო სიღრმე, დადგენილი ჰიდრავლიკური ელემენტების ცხრილის მიხედვით, შეადგენს 1.42 მეტრს.

$n$  - აქაც კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტია; აქედან  $y = 0.319$ -ს.

მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეყვანით ზემოთ მოყვანილ ფორმულაში მიიღება კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე 3.96 მეტრის ტოლი.

კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე მდინარის სწორხაზოვან უბანზე მიიღება დამოკიდებულებით:  $H_{\max} = 1.6 \cdot H_s$  (მეტრი)

აქედან, მდინარე მაშავერას კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე საპროექტო კვეთში მიიღება 6.34 მეტრის ტოლი.

კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე უნდა გადაიზომოს მდინარის 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯის შესაბამისი დონიდან ქვემოთ.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი მეთოდით კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმე იანგარიშება მხოლოდ ალუვიურ კალაპოტებში წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას. მეთოდი არ ითვალისწინებს მდინარეების სიღრმული ეროზიის პარამეტრების დადგენას ძირითად, კლდოვან ქანებში, სადაც სიღრმული ეროზიის განვითარება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ამრიგად, თუ ნაგებობის კვეთში დაფიქსირდება ძირითადი ქანები გარეცხვის სიღრმეზე მაღლა, ნაგებობა უნდა დაეფუძნოს ძირითად ქანებს.

## 3.5 ბიოლოგიური გარემო

### 3.5.1 ფლორა

ქვემო ქართლში ტყეს ტერიტორიის 21,7% უკავია, რაც საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ტყის ფონდის ფართობი 143,2 ათას ჰა-ს შეადგენს, საიდანაც ტყით 134.6 ჰა არის დაფარული. ხელოვნურად გაშენებული წიწვოვანი ტყის კულტურებიდან შემადგენლობის მიხედვით რეგიონში გავრცელებულია ფიჭვი (ფართობი - 5335 ჰა, მერქნის მარაგი - 193,3 ათასი კბმ), ხოლო ფოთლოვნებიდან - წიფელი (25332 ჰა, 5143,3 ათასი კბმ). მნიშვნელოვანი ფართობი უკავია მუხას (21564 ჰა, 2105 ათასი კბმ), რცხილას და ჯაგრცხილას, ხოლო რბილმერქნიანი ფოთლოვნებიდან - კანადის ვერხვს (260 ჰა, 27,4 ათასი კბმ). საკმაოდაა ნუშის, ჭერმისა და პანტის ნარგაობაც, ხოლო ბუჩქნარი და ქვეტყე ძირითადად ძემვითაა წარმოდგენილი.

რაიონის ტერიტორია რთული გეოლოგიური აგებულებით გამოირჩევა, რაც განაპირობებს ნიადაგური და მცენარეული საფარის მრავალფეროვნებას. კონკრეტულად, ამ მიდამოებში გავრცელებულია მუქი წაბლა კარბონატული და ტყის ყავისფერი ნიადაგები. აღნიშნულ ნიადაგებზე განვითარებული მცენარეულობა საკმაოდ მდიდარი ფლორისტული შემადგენლობით ხასიათდება.

გვხვდება მცენარეულობის შემდეგი ძირითადი ტიპები:

- წმინდა უროიანები (*Bothriochloa ischaemum*);
- შერეული ავშნიან-უროიანი დაჯგუფებები (*Artemisia fragrans*- *Bothriochloa ischaemum*);
- სტეპური ტიპის თანასაზოგადოებები შიბლიაკის (აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთური ფოთოლმცვენია ბუჩქნარი) კომპონენტებით);
- მუხნარი ქართული მუხის (*Quercus iberica*) დომინანტობით.

წმინდა უროიანები განვითარებულია მშრალ ადგილებში შედარებით დაბალ ჰიდრომეტრიულ სიმაღლეებზე. უროსთან ერთად აღნიშნულ თანასაზოგადოებაში გვხვდება ასევე *Glycyrrhiza glabra*, *Helianthemum salicifolium*, *Teucrium polium*, *Galium verum*, და სხვ. (კეცხოველი, 1959). აღნიშნული მცენარეული დაჯგუფებით დაფარული ტერიტორიების კვლევისას დადგინდა, რომ

ურო ფარავს ტერიტორიის 52%, ამასთან მასთან ასოცირებულია 60-70 სხვადასვა სახეობის მცენარეები. აღნიშნული მცენარეული დაჯგუფებისათვის დამახასიათებელია ხავსების შემდეგი სახეობები: *Tortula desertorum*, *Tortula ruralis var. arenicola*, *Pleurochaete squarrosa*. ეს სახეობები ტიპიურია საქართველოში გავრცელებულ სტეპებისა და ნახევრადუდაბნოს ცენოზებისათვის.

შერეული ავშნიან-უროიანი დაჯგუფებები განვითარებულია ღარიბ ნიადაგებზე. დომინანტი სახეობების გარდა, აღნიშნულ მცენარეულ დაჯგუფებაში გვხვდება *Podospermum laciniatum*, *Trifolium striatum*, *Scleranthus annuus* და სხვ. ამ თანასაზოგადოების შექმნაში მონაწილეობს დაახლოებით 25 სახეობის მცენარე.

სტეპურის ტიპის დაჯგუფებები შიბლიაკის კომპონენტებით ჩვეულებრივ მეორად ადგილსამყოფლებშია გავრცელებული და ტყეების დიგრესიის შედეგია. აღნიშნული ტიპის ცენოზებში შიბლიაკის ელემენტები წარმოდგენილია ძირითადად ძემვითა (*Paliurus spinachristii*) და შავჯაგას სახეობებით (*Rhamnus spp.*).

ამ თანასაზოგადოებების გავრცელების ადგილებში შეინიშნება ლიქენების განვითარება ნიადაგზე, ქვებზე, ხეების ქერქზე. ეს ლიქენებია: *Arthonia radiata* (*Opegrapha radiata*), *Aspicilia desertorum*, *Caloplaca cerina*, *Caloplaca cirrochroa*, *Caloplaca citrina*, *Caloplaca haematites*, *Fulgensia bracteata*, *Graphis scripta*, *Pertusaria lactea*, *Pyrenodesmia variabilis*.

რაიონის ტერიტორია, ფაქტობრივად, მთლიანად ტყის სარტყელშია მოქცეული. სუბალპური სარტყელი განვითარებულია მხოლოდ ცალკეულ მწვერვალებზე (რომელთა სიმაღლე 1800მ-ზე მაღალია).

მუხნარი ტყეები განვითარებულია 500 მ-დან 1200 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან. მუხნარი კორომები გვხვდება ყველა ექსპოზიციის ნაირგვარი დაქანების ფერდობებზე და ღრმა კანიონებზე. დაბალი წარმადობისა და სიხშირის მუხნარი კორომები უმრავლეს შემთხვევაში ამონაყრითა. ქართული მუხის გარდა, აღნიშნულ თანასაზოგადოებაში გვხვდება რცხილა (*Carpinus caucasica*) ჩვეულებრივი ნეკერჩხალი (*Acer campestre*), იფანი (*Fraxinus excelsior*) და სხვ.; ქვეტყეში მეტწილად გაბატონებულია ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*). სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე ანთროპოგენული დაწოლის შედეგად მუხნარები მნიშვნელოვნად დეგრადირებულია და მათ ნაალაგევზე განვითარებულია ჯაგრცხილნარი.

საქართველოს ფლორის საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები, რომლებიც შესაძლოა შეგვხვდეს ბოლნისის ტერიტორიის მიდამოებში.

სახეობების ლათინური სახელწოდება	ქართული სახელწოდება	ადგილსამყოფელი
<i>Acer ibericum</i>	ნეკერჩხალი	ტყე
<i>Hippophae rhamnoides</i>	ქაცვი	მდინარის ნაპირები
<i>Juglans regia</i>	კაკალი	ტყე
<i>Punica granatum</i>	ბროწეული	მშრალი ადგილები

აღსაღნიშნია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არ გვხდება სენსიტიური ჰაბიტატების და სხვადასხვა კონსერვაციული ღირებულების მქონე მცენარეთა თანასაზოგადოება და სახეობება. ასევე, არც საქართველოს წითელი ნუსხით დაცული თუ ენდემური, რელიქტური ან სხვა იშვიათი სახეობა.

პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს ტერიტორიაზე განთავსებული მრავალწლიანი და 8 სმ-ზე დიდი დიამეტრის მქონე ხეების ჭრას.

ხე მცენარეულობა წარმოდგენილია მხოლოდ საპროექტო ტერიტორიის პერიმეტრის გაყოლებაზე და მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესი მასზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან პრექტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილია მცენარეებისგან თავისუფალ ტერიტორიაზე, რომელიც დიდი ხანია ათვისებულია ადამიანის მიერ და გამოიყენება სასოფლო–სამეურნეო (სახნავი–სათესი) მიზნებისთვის.

### 3.5.2 ფაუნა

ბოლნისის რაიონის ტერიტორიაზე არაა ფაუნის ველური სახეობების დაცვის მიზნით შექმნილი რაიმე კატეგორიის დაცული ტერიტორია. რაიონის სამეურნეო თვისების მაღალი ინტენსივობის გამო ფაუნის ველური სახეობების გავრცელების არეალი საკმაოდ დაფრაგმენტებულია. გარდა მთიანი ადგილებისა, რომლებიც ხშირი ტყითაა დაფარული, მსხვილი ძუძუმწოვრების კვებისა და გამრავლებისათვის საჭირო მონაკვეთები თითქმის არ გვხვდება. ამდენად ფაუნის სახეობების შენარჩუნებისათვის რაიონის ძირითადი ტერიტორია დაბალი ეკოლოგიური ღირებულებისაა.

**ძუძუმწოვრები:** ევროპული შველი (*Capreolus capreolus*); გარეული ღორი (*Sus scrofa*); მაჩვის (*Meles meles*); ტურა (*Canis aureus*); მელა (*Vulpes vulpes*); კურდღელი (*Lepus europaeus*); ტყის თაგვი (*Apodemus sylvaticus*).

**ფრინველები:** შავი შაშვი (*Turdus merula*), მწვანე კოდალა (*Picus viridis*), დიდი, საშუალო და მცირე ჭრელი კოდალა (*Dendrocopos major*, *D. medius*, *D. minor*), ჩხიკვი (*Garrulus glandarius*), ჩხართვი (*Turdus viscivorus*), კაჭკაჭი (*Pica pica*), დიდი და პატარა წივწივა (*Parus major*, *P. minor*), ჩიტბატონა (*Carduelis carduelis*), მწვანულა (*Carduelis chloris*); ჩვეულებრივი ხეცოცია (*Sitta europaea*); ტყის მენაპირა (*Tringa glareola*) და სხვ.

**ხელფრთიანები:** ულვაშა მღამიობი (*Myotis mystacinus*); ნატერერის მღამიობი (*Myotis nattereri*); დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrumequinum*); მცირე ცხვირნალა (*Rhinolophus hipposideros*); წითური მეღამურა (*Nictalus noctula*); ჩვეულებრივი ღამურა (*Vespertilio murinus*).

**რეპტილიები და ამფიბიები:** ტბორის ბაყაყი (*Pelophylax ridibundus*); ბოხმეჭა (*Anguis fragilis*); ვასაკა (*Hyla arborea*); მცირეაზიური ბაყაყი (*Rana macrocnemis*); ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix natrix*); სპილენბა (*Coronella austriaca*); წითელმუცელა მცურავი (*Dolichophis schmidti*); ხმელთაშუაზღვეთის კუ (*Testudo graeca*).

**იქტიოფაუნა:** ტაფელა (*Rhodeus sericeus*); ქართული ტაფელა (*Rhodeus colchicus*); ხრამულა (*Capoeta capoeta*); კოლხური ხრამული (*Capoeta sieboldii*); ჭერეხი (*Aspius aspius*); აღმოსავლური მარდულა (*Alburnoides bipunctatus*) და სხვა.

პროექტის განხორციელებისას არ არის მოსალოდნელი ფაუნაზე ზემოქმედება, რადგან ტერიტორია დიდი ხანია ათვისებულია ადამიანის მიერ და განისცის ანთროპოგენულ ზემოქმედებას. ტერიტორია გამოიყენება სასოფლო–სამეურნეო (სახნავი–სათესი) მიზნებისთვის.

### 3.6 საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით დაცული ტერიტორიები

ქვემო ქართლის მხარე - მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, მოიცავს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების, ქვემო ქართლის და თრიალეთის ტერიტორიებს. ქვემო ქართლის საზღვრები ძირითადად ემთხვევა ისტორიული პროვინციის საზღვრებს, თუმცა აერთიანებს გარე კახეთის ნაწილსაც (ისტორიული კუხეთი და გარდაბანი). ჩრდილოეთი და დასავლეთი საზღვრები მიუყვება თრიალეთისა და სამსარის ქედებს. სამხრეთიდან ესაზღვრება აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები.

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ქვემო ქართლი მოიცავს ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს.

ქვემო ქართლის მხარეში სხვადასხვა დროს დაფიქსირებული, შესწავლილი და გამოკვლეულია კულტურული მემკვიდრეობის ასობით ძეგლი და ობიექტი. მათი ნაწილი რეგისტრირებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში, დიდი ნაწილის აღწერა-ფიქსაცია და შესწავლა დღესაც მიმდინარეობს. მათ შესახებ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულია უამრავი სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია, გამოკვლევა და სტატია, რომელთა აქ მოყვანისგან, ბუნებრივია, თავს შევიკავებთ.

### 3.7 ნიადაგები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებულია ნიადაგების შემდეგი ძირითადი ტიპები:

რუხი-ყვისფერი ნიადაგი (Calcic kastanozms) - ამ ტიპის ნიადაგი გავრცელებულია მარნეულის ვაკის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ძირითადად მდ. ხარმის მარცხენა (ჩრდილო) მხარეზე; აგრეთვე მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ბოლნისის მუნიციპალიტეტისაკენ გამავალი რკინიგზის გასწვრივ. აღნიშნული ნიადაგი ზედაპირიდან კარბონატულია, სუსტად ჰუმუსიანი, მძიმე მექანიკური შემადგენლობით და ალუვიური ჰორიზონტების გათიხების მაღალი მაჩვენებლებით, ნიადაგი მცენარის საკვები ელემენტებით საშუალოდ არის უზრუნველყოფილი, ახასიათებს სუსტი ბიცობიანობა, მცირე რაოდენობით შეიცავს წყალში ხსნად სულფატურ მარილებს.

ყავისფერი ნიადაგი (Eutric cambisols and calcio kastanozems) - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებულია ზ. დ. 500-900 მ სიმაღლემდე. ძირითადად კარბონატულ ქანებზე. ხასიათდება კარგად ჩამოყალიბებული პროფილით, მძიმე თიხნარი შედგენილობისაა, ახასიათებს კარგი აგრონომიული თვისებები, რის გამოც მნიშვნელოვან სამიწათმოქმედო ობიექტს წარმოადგენს. ფართოდ არის გამოყენებული მებაღეობის, მებოსტნეობის, მევენახეობის განვითარების მიზნით

და მარცვლეული კულტურების წარმოებისათვის. ყავისფერი ნიადაგი სხვადასხვა დაქანების კალთებზე შედარებით ადვილად ექვემდებარება ეროზიული პროცესების გავლენას.

მდელოს ყავისფერი ნიადაგი (*Calcaric cambisols and calcic kastanozem*) - ამ ტიპის ნიადაგის გავრცელების არეალი უმთავრესად ყავისფერი ნიადაგის გავრცელების არეალის თანხვედრილია. იგი, ყავისფერ ნიადაგებთან ერთად გვხვდება ძირითადად ვაკეზედაპირიან რელიეფზე, მაგრამ ეს ორი ტიპის ნიადაგი ერთმანეთისგან საკმაოდ მკვეთრად განსხვავდება. მდელოს ყავისფერი ნიადაგი ერთგვაროვანი პროფილით ხასიათდება, მდიდარია თიხის ფრაქციით, სუსტად კარბონატულია. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ ნიადაგებით დაკავებული ფართობები ძირითადად ირწყვება, რის გამოც იგი გალებებას განიცდის. ეს ნიადაგი ფართოდ გამოიყენება ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის.

ყომრალი ნიადაგი (*Eutric cambisols*) - მუნიციპალიტეტის საზღვრებში ყომრალი ნიადაგები ზ. დ. 300-1,000 მ-დან 1800-1,900 მ სიმაღლემდეა გავრცელებული - ფართოფოთლოვანი ტყის ქვეშ. სამიწათმოქმედო დანიშნულების თვალსაზრისით ყომრალი ნიადაგი ძირითადად წინამთების ზოლშია გამოყენებული, ზ. დ. საშუალოდ 900-1,300 მ სიმაღლემდე. უფრო მაღლა, ნატყევარი ტერიტორიები საძოვრებად და სათიბებად არის გამოყენებული. ყომრალი ნიადაგი ხასიათდება გაეწრების მკაფიოდ გამოხატული პროცესებით, უმეტეს შემთხვევაში ხირხატიანია - მძიმე თიხნარი შედგენილობით, გამოირჩევა საშუალო ჰუმუსიანობით და სხვადასხვა სიღრმით. ყომრალი ნიადაგი ნაკლებად მდგრადია ეროზიის მიმართ, ამიტომ, ტყის საფარის გაჩეხვის შემთხვევაში, ადვილად ექვემდებარება ეროზიას. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზღვრებში ფართოფოთლოვანი ტყეები ყომრალი ნიადაგებით ძირითადად დახრილ ფერდობებზეა გავრცელებული.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები (*Humic cambisols*) - ამ ტიპის ნიადაგები გავრცელებულია ძირითადად ლოქის ქედის სუბალპურ სარტყელში - სუბალპური მეჩხერი ტყის, მდელო-ბურქნარების და მდელოების ქვეშ. ამ ნიადაგებს ახასიათებს საკმაოდ მაღალი რაოდენობით ჰუმუსის შემცველობა, რომელიც ნიადაგის მთელ პროფილშია განაწილებული, ხირხატიანობის და გაკორდების საკმაოდ მაღალი ხარისხი. მთა-ტყე-მდელოს ნიადაგების სამეურნეო ღირებულება მათ საფარზე განვითარებული ბალახ-მცენარეულობის საძოვრებსა და სათიბებად გამოყენებაში გამოიხატება. იმის გამო, რომ ამჟამად სრულიად იგნორირებულია პირუტყვის დატვირთვის დასაშვები ზღვრული ნორმები აშკარად სახეზეა საძოვრების გამწირების პროცესი, რაც, პირველყოვლისა, ნიადაგის ეროზიის თანდათანობით გაძლიერებაში გამოიხატება.

ნეშომპალა - კარბონატული ნიადაგი (*Rendzic cambisols*) - ამ ტიპის ნიადაგი ძირითადად კარბონატებით მდიდარ ქანებზე და ტყით დაფარულ მთიან რელიეფზეა გავრცელებული, ჰუმუსით საკმაოდ მდიდარია, შეიცავს კარბონატებს ზედაპირიდან ნატყევარ ტერიტორიებზე ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგი გამოიყენება მიწათმოქმედებაში, ასევე საძოვრებად და სათიბებად.

ალუვიური ნიადაგები (*Fluvisols*) - ალუვიურ ნიადაგებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაკლები გავრცელება აქვს და ძირითადად მდ. ხრამის, მაშავერას და მათი შენაკადების ჭალებში და ნაწილობრივ ჭალისზედა პირველი ტერასის (4-8 მ) სუსტად დახრილ რელიეფზე გვხვდება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ალუვიური ნიადაგები ყველგან

კარბონატულია, საშუალო ოდენობით შეიცავს ჰუმუსს, გამოირჩევა შრეობრიობით. ალაგ-ალაგ ემჩნევა გამდელოება და გალებება. ამ ნიადაგების ძირითადი ნაწილი ათვისებულია მიწათმოქმედებაში.

მუნიციპალიტეტის საზღვრებში გავრცელებული ნიადაგების მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამად სხვადასხვა ინტენსივობით განიცდის დეგრადაციას. ძირითადად ანთროპოგენული ფაქტორის გავლენით. ნიადაგების დეგრადაციის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, მედავნდება მათი ფიზიკურ-მექანიკური, ქიმიური და მიკრობიოლოგიური თვისებების გაუარესებაში და შესაბამისად, ნაყოფიერების დაქვეითებაში.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცენარეული საფარის ყველა ზემოთ აღნიშნულ ტიპში მცენარეულობის დეგრადაციის ხარისხი ზოგადად საშუალოზე მაღალია და ნიადაგის დეგრადაციის ხარისხიც საშუალოზე მაღალია.

### 3.8 ლანდშაფტი და ვიზუალური რეცეპტორები

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ლანდშაფტის შემდეგი სახეები:

1. უროიან-ვაციწვერიანი და ჯაგეკლიანი სტეპური ვაკე წაბლა და დამლაშებული ნიადაგებით;
2. ბორცვიან-სერებიანი მთისწინეთი ტყის ყავისფერი და ყომრალი ნიადაგებით;
3. ფართოფოთლოვანი ტყეები ტყის ყომრალი ნიადაგებით;
4. დაბალი მთები მუხნარ-რცხილნარითა და ტყის ყომრალი ნიადაგებით;
5. ჭალის ანუ ტუგაის ტყე ალუვიურ-კარბონატული ნიადაგებით.

### 3.9 სოციალურ-ეკონომიკური გარემო

ბოლნისი არის საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტი, რომელიც გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო და სამთო-მოპოვებითი პროდუქციის წარმოების ბუნებრივი პირობებით, ისტორიული ძეგლებით და მრავალეთნიკური კულტურითა და ტრადიციებით.

ბოლნისი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით მოიპოვება ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ბარიტი, ბაზალტი ტუფი და მინერალური წყლები.

აღნიშნული რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი, ქონების გადასახადთან ერთად ადგილობრივი ბიუჯეტის ყველაზე დიდ შემოსავალს წარმოადგენს, რაც მუნიციპალიტეტის ფინანსური დამოუკიდებლობის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია. ამასთან, ბოლნისი საქართველოს იმ ექვს მუნიციპალიტეტს შორისაა, რომლებიც ცენტრალური მთავრობისგან გათანაბრებით ტრანსფერს არ ღებულობენ.

ადგილობრივი ბიუჯეტის ყველაზე მსხვილი გადამხდელები (სამთომოპოვებელი კომპანიები) სს „RMG Coper“-ი და შპს „RMG GOLD“-ი არიან. მათი ყოველწლიური გადასახადები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების 70% შეადგენს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის წამყვანი ეკონომიკური დარგი წლიური ბრუნვისა და მოგების მიხედვით დამამუშავებელი მრეწველობაა, რომელიც წიაღისეულის მოპოვებას, მძიმე მრეწველობას, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოებას მოიცავს. ხოლო დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით მუნიციპალიტეტის მოწინავე დარგი სოფლის მეურნეობაა, სადაც დასაქმებულთა 68% არის ჩართული.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წლიდან 2017 წლამდე ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა გაზრდილია 53%-ით და მათი საერთო რაოდენობა 583-ს შეადგენს. აქედან, 569 მცირე საწარმო, 12 საშუალო და 2 მსხვილი.

2017 წელს 2014 წელთან შედარებით საწარმოთა რაოდენობის მაღალი ზრდა ძირითადად დაფიქსირდა შემდეგ ეკონომიკურ საქმიანობებში: სოფლის მეურნეობა/სატყეო მეურნეობა - 140%; რესტორნები - 67%; ოპერაციები უძრავი ქონებით - 54%; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 43%; დამამუშავებელი მრეწველობა - 38%; საწარმოების რაოდენობის ზრდასთან ერთად აგრეთვე იზრდება მუნიციპალიტეტში მოქმედი საწარმოების პროდუქციის გამოშვება და შემოსავლები. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წელს 2014 წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 58%-ით, ხოლო საწარმოების ბრუნვა 85%-ით. აღნიშნული ზრდა მეტწილად უკავშირდება სოფლის მეურნეობის დარგში პროდუქციის წარმოების ზრდას, სამშენებლო ბიზნესის განვითარებას, რაც მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მატებასთან არის დაკავშირებული. ბოლნისის მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობა მთლიანი მოსახლეობის 46,9% შეადგენს. დასაქმებული მოსახლეობის უმეტესობა (68%) დაკავებულია სოფლის მეურნეობით. სხვა მნიშვნელოვანი დასაქმების სექტორებია: მძიმე და მსუბუქი მრეწველობა (13%), განათლება (5%), ვაჭრობა (4%) მშენებლობა (3,1%) და სხვა (6,9%).

### 3.9.1 მოსახლეობა და დემოგრაფია

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში. ბოლნისის მუნიციპალიტეტი სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებით არის დასახლებული. 2014 წლის მონაცემებით და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 55 400 კაცს. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 98 კაცი კვ. კმ-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კვ.კმ) საკმაოდ აღემატება. მუნიციპალიტეტში 48 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქია. ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 12 700 ადამიანს.

წლები	2015	2016	2017	2018	2019
ქვემო ქართლი	425.2	428.0	429.7	432.3	433.2
ბოლნისი	54.3	54.7	54.9	55.3	55.4

ბოლნისის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციის ქვემო ქართლის მხარის სამხრეთით მდინარე მაშავერას შუა წელში, ზღვის დონიდან 560 მ-ზე. ბოლნისის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება აღმოსავლეთით - მარნეულის, ჩრდილოეთით - თეთრიწყაროს, დასავლეთით - დმანისის მუნიციპალიტეტები. სამხრეთ ნაწილში სომხეთის საზღვარი ლორის მარზაზე გადის. მუნიციპალიტეტს 1947 წლამდე ლუქემბურგი ეწოდებოდა. 1967 წელს დაბა ბოლნის მიენიჭა ქალაქის სტატუსი. მუნიციპალიტეტის ცენტრი - ქალაქი ბოლნისი მდებარეობს თბილისიდან სამხრეთ ღმოსავლეთით 64 კმ-ში, ქვემო ქართლის ადმინისტრაციული ცენტრიდან - ქ. რუსთავიდან დაშორებულია 67 კმ-ით, ხოლო მთავარი სარკინიგზო მაგისტრალიდან (მარაბდა) - 25 კმ-ით. მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობი შეადგენს 804.2 კმ<sup>2</sup>. მუნიციპალიტეტში შემადგენლობაშია ორი დაბა და 45 სოფელი, რომლებიც 14 ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში არიან გაერთიანებული. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოებია: კაზრეთი, თამარისი, ნახიდური, ტალავერი, მამხუტი, რაჭისუბანი, რატევანი, ქვემო ბოლნისი, ბოლნისი, აკაურთა, დარბაზი, ტანძია, ქვეში და დისველი. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა, კვლევის დროს თემების რწმუნებულებისგან აღებული მონაცემებით შეადგენს - 84,177 ადამიანს. მათ შორის: ქალაქის - 12,560, სოფლის - 71,617; მოსახლეობის სიმჭიდროვე: 104.67 კაცი/კვ.კმ. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 39,944 (47.45%) მამაკაცია, ხოლო 44,233 (52.55%) ქალი. მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ასაკის მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული: 0-5წ.-6.32%; 6-18წ.-12.10%; 19-65წ.-69,32%; 65წ-ის ზემოთ - 12.27%. სარწმუნოების მიხედვით ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მაჰმადიანია, შემდეგ მოდის მართლმადიდებელი ქრისტიანები, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა ძირითადად არის სომხურ-გრიგორიანელი.

### 3.9.2 სოფლის მეურნეობა

ბოლნისის რაიონის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას წამყვანი როლი რჩება მოსახლეობის აბსოლუტური რიცხვისა და სხვადასხვა ასაკობრივი და გენდერული ჯგუფების დასაქმების თვალსაზრისით.

რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან გავრცელებულია – ხორბალი, ქერი, სიმინდი, ლობიო, მზესუმზირა, კარტოფილი, ბოსტნეული, ვაშლი, მსხალი, კომში, ქლიავი, ბალი, ალუბალი, ატამი, კაკალი, ვაზი. მუნიციპალიტეტში კარგად არის განვითარებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება, მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფუტკრეობა და მეფრინველეობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები პრაქტიკულად სრულად არის ათვისებული. აღსანიშნავია, რომ მიწების მოსავლიანობა წინა წლებთან შედარებით შემცირებულია, რაც გამოწვეულია აგრონომიული კალენდრის დარღვევით, საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების ნაწილის მწყობრიდან გამოსვლით და თესლბრუნვის მორიგეობის დაუცველობით. მუნიციპალიტეტის პირუტყვის სულადობის გარკვეული ნაწილის გამოსაკვებად ზაფხულში დმანისის მუნიციპალიტეტის საზაფხულო

საძოვრებია გამოყენებული. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული საზაფხულო საძოვრები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ადგილზე დარჩენილ პირუტყვს. საძოვრების დატვირთვის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია - 0,2 ჰა ერთ სულზე, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 1,5 - 2 ჰექტარისა, ანუ დატვირთვის ნორმა თითქმის 10-ჯერ არის გაზრდილი, რაც იწვევს საძოვრების გადატვირთვას. გადაძოვების ხარისხი იმდენად მაღალია, რომ აგვისტოს თვეში ცალკეულ ფართობებზე ფაქტიურად ბალახის საფარი აღარ არსებობს.

მუნიციპალიტეტში ნიადაგის დაცვითი ღონისძიებები არ ხდება საძოვრების გაუმჯობესება (სასუქების შეტანა, ბალახების შეთესვა, კულტურული საძოვრების მოწყობა, სარეველა ბალახების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, ინერტული მასალებისაგან გაწმენდა და სხვა.) უგულებელყოფილია საძოვრების ნაკვეთმორიგეობის პრაქტიკა. ახლა იგი მთლიანად მწყემსებზე მინდობილი. საძოვრების ნაკვეთმორიგეობის რეჟიმის დარღვევით საძოვრები ხანგრძლივ დატვირთვას ვერ უძლებს და მალე გამოდის მწყობრიდან, რაც თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენს ნიადაგის სტრუქტურაზე – იწვევს მის დეგრადაციას.

ბოლნისის რაიონს შედარებით მაღალი სამრეწველო პოტენციალი გააჩნია და სწორედ ამით ბოლნისი საქართველოს რაიონების დიდი უმრავლესობისაგან გამოირჩევა, მაგრამ რაიონის მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ძირითად წყაროდ კვლავ სოფლის მეურნეობა რჩება.

მიუხედავად იმის, რომ დღეის მდგომარეობით სოფლის მეურნეობისა და ინოვაციური მეწარმოების დარგში არსებობს სხვადასხვა სახის სახელწიფო პროგრამები, რომლის ფარგლებში დამწყებ, მცირე და საშუალო ბიზნესებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ სახელმწიფო დაფინანსება. თუმცა ბიზნეს გეგმის შემუშავებაში ცოდნის და გამოცდილების არქონის გამო დაფინანსებას ვერ ღებულობენ. ასევე ფინანსებზე მთავარ პრობლემად გამოიკვეთ მეწარმეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების და ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების გრანტებისა და დახმარების შესახებ ინფორმაციის სიმცირე და საბანკო-საფინანსო ინსტიტუტების მაღალი საპროცენტო განაკვეთები.

### 3.9.3 ეკონომიკა

ქვემო ქართლის სიახლოეს ქ. თბილისთან, თბილისის აეროპორტთან და აზერბაიჯანისა და სომხეთთან, მისი მდებარეობა სატრანსპორტო კორიდორების გადაკვეთისა და აღმოსავლეთ - დასავლეთის ენერგო-კორიდორის ზონაში და ურბანიზაციის მაღალი დონე რეგიონს განვითარების კარგ შესაძლებლობას უქმნის. ბოლნისის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მინერალური ნედლეულის სიმდიდრით: პოლიმეტალები, ბარიტი, სპილენზი, ოქრო, ვერცხლი და სხვა უამრავი სახის საშენი მასალები (ტუფი, ბაზალტი, კირქვა, ვულკანური შლაკი, პერლიტი, თიხა, კერამიკული ნედლეული).

წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა: მევენახეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა. მნიშვნელოვანი საწარმოებია მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, ღვინის ქარხანა. მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა ბარიტი, ტუფი, მადნეულის პოლიმეტალების საბადო.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის პრიორიტეტებია: სოფლის მეურნეობა, სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობა, ასევე ქვის მოპოვება-დამუშავების გაფართოება და ტურიზმის განვითარება.

რაიონს შედარებით მაღალი სამრეწველო პოტენციალი გააჩნია და სწორედ ამით ბოლნისი საქართველოს რაიონების დიდი უმრავლესობისაგან გამოირჩევა, მაგრამ რაიონის მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ძირითად წყაროდ კვლავ სოფლის მეურნეობა რჩება. არსებული ინფორმაციით ბოლნისის რაიონის ეკონომიკაში დასაქმების ძირითადი სფეროების მიხედვით შედარებით მეტია მრეწველობის წილი. ბოლნისის რაიონში დასაქმებულთა 73% სოფლის მეურნეობაზე მოდის, 17% სხვადასხვა მომსახურებისა და სამრეწველო სფეროზე, ხოლო 10% სამთამადნო სექტორზე.

### 3.9.4 ტურიზმი

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს შიდა და საერთაშორისო ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით, მარკეტინგული ინსტრუმენტების ნაკლებობისა და გაუმართავი ტურისტული ინფრასტრუქტურის გამო, ბოლნისი არ განიხილება აქტიურ ტურისტულ ცენტრად, თუმცა ბოლნისის მუნიციპალიტეტი ისტორიულად ცნობილია სანახაობითი ტურიზმით, რომელიც ძირითადად განვითარებული იყო როგორც ქვემო ქართლის რეგიონის ერთანი ტურისტული მარშრუტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. სანახაობრივი ტურიზმით სარგებლობდნენ, როგორც გარე, ასევე, შიდა ტურისტები. ამჟამად აღნიშნული ტურისტული მარშრუტი გაუქმებულია და არც გარე ტურისტები სარგებლობენ სანახაობრივი ტურიზმით. გამონაკლისს წარმოადგენს გერმანელები, რომლებიც ინტერესდებიან ქ. ბოლნისში არსებული გერმანელების ნასახლარებითა და მათგან შემორჩენილი კულტურულ-ისტორიული ძეგლებით. ყოველწლიურად ქ. ბოლნისს სტუმრობს 100-მდე გერმანელი ტურისტი, თუმცა, აღრიცხვის სისტემის უქონლობის გამო, ვიზიტორთა ზუსტი რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. გერმანელთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გერმანიის ხეივანი, ასევე, ქ. ბოლნისში რუსთაველის, ოჩხიკიძის, სააკაძისა და მათ გადამკვეთ ქუჩებზე შემორჩენილი გერმანული სახლები და მარნები. ბოლნისის მოსახლეობაში დღესაც შემორჩენილია გერმანული წესით საკვების მომზადება. რაც შეეხება შიდა ტურისტებს, ექსკურსიით სპონტანურად ჩამოდიან სკოლებიდან (შიდა ქართლი, იმერეთი, კახეთი, თბილისი) ცალკეული ძეგლების (განსაკუთრებით, ბოლნისის სიონის), დასათვალიერებლად.

მუნიციპალიტეტში არსებობს პოტენციალი ისეთი ექსტრემალური ტურიზმის განვითარებისათვის, როგორიცაა ჯომარდობა მდ. ხრამზე, პარაშუტით ხტომა და საცხენოსნო და სამონადირეო ტურიზმი. ასევე, ტურისტები, შესაძლოა, დაინტერესდნენ ოქროს მოპოვების ტექნოლოგიის გაცნობით და ამდენად, გამართლებული იქნება ოქროს მომპოვებელი საბადოს ჩასმა ტურისტულ მარშრუტში.

### 3.9.5 ინფრასტრუქტურა

საგზაო ინფრასტრუქტურის კუთხით მუნიციპალიტეტის ცენტრიდან ყველა დასახლებულ პუნქტამდე მისასვლელი გზა მოწესრილებულია და ყველაზე შორს მდებარე სოფლიდან ტრანსპორტირების დრო შეადგენს 25 წუთს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი მთლიანად არის ელექტრიფიცირებული და ელექტროენერგია ყველა დასახლებულ პუნქტს მიეწოდება თუმცა, მთავარი პრობლემა მოსახლეობის არასრული

გამრიცხველიანებაა (მხოლოდ 58,7%), რაც ელექტროენერგიის გადასახადის ადმინისტრირების სირთულეებს ქმნის. ელექტროენერგიის მიწოდებას უზრუნველყოფს „ENERGOPRO Georgia“.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 32% სარგებლობს ბუნებრივი აირით. მუნიციპალიტეტის მასშტაბით გაუმართავია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და დამატებით ქსელის გაყვანა სჭირდება, რათა ბოლნისის მთლიან მოსახლეობას მიეწოდოს ბუნებრივი აირი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია სრულად არის მოქცეული მობილური კავშირგაბმულობის კომპანიების „მაგთიკომის“, „ჯეოსელის“, „ბილაინის“ დაფარვის ზონაში. ქ. ბოლნისში ასევე ფუნქციონირებს კავშირგაბმულობის კომპანია „სილქეთი“. ინტერნეტ კავშირს უზრუნველყოფენ შემდეგი ინტერნეტ პროვაიდერები: „სილქეთი“ (ADSL და DIAL-UP), „Caucasus Online“, „მ.გ.ი.ო.“ „ჯეოსელი“.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში სარწყავ არხებს მართავს სახელმწიფო შპს „გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“. არხები მარაგდება მდინარე მაშავერას, დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული იაკუბლოსა და პანტიანის წყალსაცავებიდან. სარწყავი ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სრულად არ ირწყვება. დღეს არსებული სარწყავი არხის სიგრძე 62.8 კმ-ია. ძირითადად, მიწები ირწყვება შემდეგ სოფლებში: ტალავერი, ჭაპალა, მამხუთი, კაზრეთი, კიანეთი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის თბილისი-ერევნის საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-კაზრეთი-გუგუთის მაგისტრალის 38 კმ-იანი მონაკვეთი. შესაბამისად მუნიციპალიტეტის მდებარეობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება და გაღრმავება მეზობელ ქვეყნებთან. ამჟამად სომხეთთან და აზერბაიჯანთან თანამშრომლობა ძირითადად მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობებით შემოიფარგლება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ დაბა კაზრეთში ფუნქციონირებს სპილენძის კონცენტრატების მწარმოებელი კომპანია სს „RMG COPPER“. კომპანიის მიერ გამომვებული პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე მაღალი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა,

### 3.9.6 დასაქმება

ბოლნისის მუნიციპალიტეტში 15 წელს ზემოთ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 49% დასაქმებულია. მათ შორის 39.3% მუშაობს საკუთარ მიწაზე, 1.7%-ს აქვს საკუთარი ბიზნესი, 23.7% მუშაობს ანაზღაურებით, 35.3% – სხვადასხვა დარგებში. მუნიციპალიტეტში უმუშევრობის დონე 21.7 %-ია.

## 3.10 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და არქეოლოგიური ობიექტები

საქართველოს კანონმდებლობის და პრეზიდენტის განკარგულების თანახმად საქმიანობა, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს ნებადართულია მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კვლევის ცენტრთან და სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების შემდეგ.

ბოლნისის რაიონი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, საკმაოდ მდიდარია სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლებით. საკმარისია დავასახელოთ ისეთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი, როგორიცაა არუხლოს

ნამოსახლარი (ძვ.წ. V-IV ათასწლეული), მრავალრიცხოვანი ეკლესია-მონასტრები და მათი თანმხლები ნასოფლარები (მაგალითად, წუღრულაშენი XIII საუკუნე), ციხე-სიმაგრეები (ქვეშისა და ქოლაგირის), და ბოლნისის სიონი, რომელიც 478-493 წლებს შორისაა აგებული და რომელზეც უძველესი ქართული წარწერებია შემორჩენილი.

სხვა ძეგლებიდან აღსანიშნავია:

- არუხლოსნამოსახლარი;
- ბოლნისის სიონი;
- დავით გარეჯი;
- დაბა კაზრეთი;
- სოფელი ბალიჭის მიდამოები.

ზემოთ მოყვანილია არქეოლოგიური უბნების ჩამონათვალი, რომლებიც დაფიქსიებულია ბოლნისის რაიონში.

საქმიანობის პროცესში დაცული იქნება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული სამართლებრივი ნორმები, რასაც ითვალისწინებს სსიპ „საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“.

## 4. ზემოქმედების შეფასება

### 4.1 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შესაფასებლად გამოყენებული იქნა საქართველოს ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც ადგენს ჰაერის ხარისხის სტანდარტს. ნორმატივები განსაზღვრულია ჯანმრთელობის დაცვისთვის. რაღაც ჯანმრთელობაზე ზემოქმედება დამოკიდებულია, როგორც მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციაზე, ასევე ზემოქმედების ხანგრძლივობაზე, შეფასების კრიტერიუმი ამ ორ პარამეტრს ითვალისწინებს.

პროექტით არ იგეგმება ბეტონის კვანძის და სხვა ატმოსფერულ ჰაერში ემისიების გაფრქვევის სტაციონალური წყაროების ადგილზე განთავსება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე უარყოფით ზემოქმედებას.

აღსანიშნავია, რომ მიმდებარე ტერიტორიები ანთროპოგენური ზემოქმედების მატარებულია. მიმდებარე ტერიტორია ძირითადად ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით და საძოვრებით.

საპროექტო რეზერვუარიდან და სატუმბ-გამანაწილებელი სადგურიდან უახლოესი დასახლებული პუნქტს წარმოადგენს სოფ. რაჭისუბანი, რომელიც საპროექტო არეალიდან დაშორებულია 782 მ და მეტი მანძილით. მდინარესთან მოსაწყობი სატუმბი სადგურიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს სოფ. მწყნეთი, რომელიც უახლოესი მოსახლიდან დაშორებულია 532 მ-ით.

რეზერვუარის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ (500 მეტრის რადიუსში), ტერიტორიის დათვალიერების დროს ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიის სტაციონარული წყაროები არ გამოვლენილა.

პროექტის განხორციელების ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება შეიძლება გამოწვეული იყოს საპროექტო ინფრასტრუქტურის მოწყობის ეტაპზე მიწის სამუშაოებისას მტვრის გავრცელებასთან და მომუშავე ერთეული ტექნიკიდან ნამწვი აირების გავრცელებათან. მოწყობის სამუშაოები განხორციელდება დახლოებით 2-3 თვის განმავლობაში.

ამასთან, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რისკის პრევენციისა და მინიმიზაციის მიზნით კომპანია განახორციელებს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს:

- ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის დაცვა (განსაკუთრებით გრუნტიან გზებზე);
- სიფრთხილის ზომების მიღება (მაგ. დატვირთვა გადმოტვირთვისას დიდი სიმაღლიდან მასალის დაყრის აკრძალვა);
- სამუშაო უბნების და გზის ზედაპირების მოწყვა, ადვილად ამტვერებადი მასალების ტრანსპორტირებისას მანქანების მარის სათანადო გადაფარვა, ადვილად ამტვერებადი მასალების ქარით გადატანის პრევენციის მიზნით, მათი დასაწყობების ადგილებში სპეციალური საფარის გამოყენება ან მორწყვა;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი, საჩივრების დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.

ექსპლუატაციის ეტაპზე არსებული რეზერვუარის წყლით მაქსიმალური შევსების პერიოდში წყალსაცავის სარკის ფართობია  $570 \text{ m}^2$ -ია, ხოლო საპროექტო რეზერვუარის წყლით მაქსიმალური შევსების პერიოდში წყალსაცავის სარკის ფართობი იქნება  $625 \text{ m}^2$ . რეზერვუარების ექსპლუატაცია მოხდება სეზონურად, ზაფხულის პერიოდში. ექსპლუატაციის პროცესში, ზედაპირიდან აორთქლებული მცირე რაოდენობის წყალი ხელს შეუწყობს მიმდებარე ტერიტორიაზე ხე-მცენარეული საფარის ზრდას.

ემისიების გავრცელება ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია საჭირო ტექმომსახურება/რემონტის, სარემონტო სამუშაოებით ან/და ტრანსპორტის გადაადგილებით. ასეთი სამუშაოების შესრულება მოხდება მირითადად საპროექტო დერეფანში და მოკლე ვადაში.

ასევე, პროექტის ორივე ფაზაზე დაგეგმილია ნარჩენების სეპარირებული მართვა და შესაბამისი მონიტორინგის განხორციელება. სახიფათო ნარჩენების მართვის კუთხით რისკები მინიმალურია, რაც მირითადად დაკავშირებულია სპეც/ტექნიკის ექსპლუატაციასთან - არ დაიშვება გაუმართავი ტექნიკა სამუშაო მოედანზე ექსპლუატაციის ფაზაზე შესაძლოა წარმოიშვას მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენები (ზეთიანი ჩვრები, ნათურები და ა.შ), რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა უფლებამოსილ კომპანიას შემდგომი მართვისთვის.

## 4.2 ხმაურის გავრცელებით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება

საქართველოში ხმაურის გავრცელების დონეები რეგულირდება ნორმატიული დოკუმენტით ტექნიკური რეგლამენტი „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“. ხმაურის დონე არ უნდა აღემატებოდეს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ სიდიდეებს.

მშენებლობის ეტაპზე ხმაურის ძირითად წყაროებად ჩაითვალა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებში, ასევე სატრანსპორტო ოპერაციებისთვის გამოყენებული შემდეგი ტექნიკური საშუალებები:

- 1 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანა (ხმაურის დონე შეადგენს 85 დბა-ს);
- 1 ბულდოზერი (90 დბა);
- 1 ექსკავატორი (90 დბა);

მონაცემების ფორმულაში ჩასმით მივიღებთ მშენებლობისას მოქმედი დანადგარ-მექანიზმების ერთდროული მუშაობის შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამურ დონეს, ანუ ხმაურის დონეს გენერაციის ადგილას:

π

$$10 \lg \sum_{i=1}^{10} 10^{0,1 Lpi} = 10 \lg (10^{0,1 \times 85} + 10^{0,1 \times 85} + 10^{0,1 \times 90} + 10^{0,1 \times 90} + 10^{0,1 \times 88} + 10^{0,1 \times 87}) = 95,8 \text{ დბა.}$$

i=1

ძირითად საანგარიშო წერტილად აღებულია ძირითადი საამშენებლო ობიექტებიდან (რეზერვუარი, სატუმბი სადგური მდინარესთან) უახლოესი საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიის საზღვარზე, რომლის პირდაპირი დაცილების მანძილი, ამ ხმაურის წყაროების განთავსების გეომეტრიული ცენტრიდან, არის შემდეგი:

- უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 930 მეტრის მოშორებით საპროექტო რეზერვუარიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.
- სატუმბი სადგურიდან (მდინარესთან მდებარე) უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფელ მწყნეთი) მდებარეობს დასავლეთით 555 მეტრის მოშორებით, ხოლო არხთან საპროექტო სატუმბი სადგურიდან მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე შეადგენს 250 მეტრს, დასავლეთის მიმართულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ობიექტის მშენებლობის დროს მოსახლეობაზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების მნიშვნელოვნება შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.

ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის ძირითად წყაროს წარმოადგენს სატუმბი დანადგარები და პერიოდული სარემონტო სამუშაოები.

ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების გაანგარიშება ჩატარებულია წინა ქვეთავში წარმოდგენილი ფორმულების გამოყენებით. ექსპლუატაციის ეტაპზე საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილი იქნება განსხვავებული ტიპის ხმაურის წყაროები და შესაბამისად იცვლება ხმაურის დონე გენერაციის ადგილზე.

საპასპორტო მონაცემებით, ცალკეული დანადგარების ხმაურის მაქსიმალური დონე არ აღემატება 90 დბა-ს. ამის გათვალისწინებით, საამშენებლო ნორმებისა და წესების (CHиП) II-12-77 „ხმაურისაგან დაცვა” მიხედვით, ტერიტორიაზე საწარმოს მუშაობისას ხმაურის ჯამური დონე შეადგენს:

II

$$10 \lg \sum_{i=1}^{10} 10^{0,1 Lpi} = L_p + 10 \lg n = 90 \text{დბა} + 10 \lg 2 = 90 + 3,0 = 93,0 \text{ დბა.}$$

i=1

ექსპლუატაციის შედეგად ხმაურის დაშვებულ ნორმებზე დასახლებული პუნქტების საზღვარზე (როგორც დღის საათებისთვის, ასევე ღამის საათებისთვის დადგენილი ნორმები) გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ უარყოფითი ზემოქმედების რისკებს კიდევ უფრო ამცირებს, ხოლო მოსახლეობაზე ზემოქმედებას გამორიცხავს, შემდეგი გარემოებები, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოები (მითუმეტეს ინტენსიური ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები) იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში;
- ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროების ერთდროული მუშაობა ნაკლებ სავარაუდოა. ასეთ შემთხვევაშიც კი ის არ იქნება ხანგრძლივი პროცესი;
- მშენებლობისას წარმოქმნილი ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი;
- ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროები განთავსებულია დახურულ სათავსოებში.

ხმაურის ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი ველურ ბუნებაზე, რადგან ტერიტორია დიდი ხანია ათვისებული ადამიანის მიერ, გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და განიცდის ანთროპოგენურ ზემოქმედებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ობიექტის ექსპლუატაციის დროს მოსახლეობაზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების მნიშვნელოვნება შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.

#### 4.3 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე

საპროექტო-სამშენებლო მოედნის ფარგლებში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე თანამედროვე საშიში გეოლოგიური პროცესების გამოვლენა ან მათ მიერ დატოვებული შეცვლილი ფორმები არ ფიქსირდება და გამოირჩევა მდგრადობის საკმაოდ მაღალი ხარისხით.

პროექტით დაგემილი საქმიანობა პრაქტიკულად არ უკავშირდება გეოსაფრთხეების გამოწვევ რისკებს. არ იწვევს ეროზიას, ან სხვა ცვლილებებს, რამაც შესაძლოა გეოსაფრთხეები გამოიწვიოს.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში არ არის მოსალოდნელი რაიმე ტიპის უარყოფითი გეოდინამიკური და გეოლოგიური პროცესების განვითარება, ვინაიდან საპროექტო რეზერვუარის განთავსება დაგეგმილია ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე სადაც წლების განმავლობაში ხორციელდებოდა აქტიურად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მისი გამოყენება. რეზერვუარის მოწყობის დროს ნიადაგის და გრუნტის წყლის გაჯარებიგან დასაცავად დამატებით დაგეგმილია წყალგაუმტარი მემრანის ჩაფენა რეზერვუარში, რაც ასევე დამატებით უსაფრთხოებას ზრდის საპროექტო რეზერვუარის ექსპლუატაციისას.

რეზერვუარის ავარიული დაცლის მიზნით მოწყობილი იქნება რეზერვუარის მარჯვენა ნაპირზე დამცლელი მილსადენი.

სატუმბი სადგურის განთავსება დაგეგმილია მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე. საპროექტო სატუმბი სადგურის განთავსების ნიშნულია 431.69 მ. როგორც ჩატარებული ჰიდროლოგიური კვლევიდან ჩანს (იხ. ქვეთვი 3.4.4). მოცემულ კვეთში მდინარე მაშავერას მაქსიმალური ხარჯის გავლის (100 წლიანი განმეორებადობის მიხედვით) შემთხვევაში, წყლის დონე აიწვეს 1.09 მ-ით. ზემოაღნიშნულიდან გამოდინარე, პროექტის ტექნიკური გადაწყვეტებით დაგეგმილია სატუმბის მოწყობა რკინა-ბეტონის ხიმინჯებზე, რომლის დაფუძნება მოხდება მდინარის კალაპოტის მოსალოდნელი გარეცხვის ნიშნულის გათვალისწინებით, ხოლო სატუმბის განთვასების ნიშნული იქნება 433 მ. შესაბამისად, მდინარის მაქსიმალური ხარჯის შემთხვევაში მდინარის მიერ საპროექტო სატუმბი სადგურის დაზიანება ექსპლუატაციის პერიოდში მოსალოდნელი არ არის და არ საჭიროებს დამატებით შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას.

#### 4.4 ნიადაგის და გრუნტის დაბინძრების რისკი

პროექტის ფარგლებში, ნიადაგის ხარისხზე ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს ნარჩენების არასწორმა მართვამ (როგორც მყარი, ისე თხევადი), საწვავის/საპოხი მასალების შემთხვევითმა დაღვრამ.

საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გვხვდება საპროექტო რეზერვუარის, სატუმბ-გამანაწილებელი სადგურის, მაგისტრალური მილსადენის განთავსების დერეფანში 0.08-0.10 მ სიმძლავრით.

მილსადენის დერეფანში ტრანშეის მოწყობის დროს მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა განთავსდება ტრანშეის ერთ მხარეს, ხოლო ამოღებული გრუნტი ტრანშეის მეორე მხარეს. აღნიშნული ტექნიკური გადაწყვეტა გამოწვეულია იმით რომ, ტრანშეის მოწყობის და მილის ტრანშეაში განთავსებას შორის იქნება რამოდენიმე საათიანი პერიოდი. მილსადენის განთავსების შემდგომ მოხდება ტრანშეის გრუნტით შევსება გარკვეულ დონემდე, ხოლო შემდგომ მოხსნილი ჰუმუსოვანი ფენის გაშლა.

საპროექტო რეზერვუარის, სატუმბ-გამანაწილებელი სადგურის ტერიტორიებზე მოხსნილი ნაყოფიერი ფენა დროებით განთავსდება სამუშაო პერიმეტრზე იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მნიშვნელოვანი ნალექების მოსვლის შემთხვევაში მისი ხარისხობრივი შენარჩუნება. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ აღნიშნული ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება რეზერვუარის ფერდების და სხვა დაზიანებული უბნების რეკულტივაციისთვის მოქმედი ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის და რეკულტივაციის სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე არ ხდება საწვავის რეზერვუარის განთავსება და სამშენებლო ტექნიკის საწავავით გამართვა, რაც გამორიცხავს ნიადაგის მასშტაბურ დაბინძურებას, ხოლო რაც შეეხება ტექნიკიდან საწვავის ავარიულ დაღვრას კომპანია უზრუნველყოფს შემდეგ შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას:

- დაზიანების და საწვავის/ზეთის ჟონვის დაფიქსირებისას დაუყოვნებლივ მოხდება დაზიანების შეკეთება;
- პერსონალს ჩაუტარდება ტრეინინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე;
- დაღვრის შემთხვევაში მოხდება დაღვრილი მასალის ლოკალიზაცია და დაბინძურებული უბნის დაუყოვნებლივი გაწმენდა. პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი საშუალებებით (აბსორბენტები, ნიჩები, სხვა.) და პირადი დაცვის საშუალებებით;
- დაბინძურებული ნიადაგი და გრუნტი შემდგომი რემედიაციისათვის ტერიტორიიდან გატანილი იქნება ამ საქმიანობისთვის ნებართვის მქონე კონტრაქტორის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელებისას ნიადაგზე ზემოქმედების მნიშვნელოვნება შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.

#### 4.5 ზემოქმედება წყლის გარემოზე

პროექტით გათვალისწინებულ მშენებლობის პროცესში წყლის გარემოზე ზემოქმედების მირითად რეცეპტორს მდ. მაშავერა წარმოადგენს.

მშენებლობის ეტაპზე გათვალისწინებულია მდინარის კალაპოტში სპეციალური მილის განთავსება, რომელიც დაუერთდება სატუმბი სადგურის შესაბამის აგრეგატებს. აღნიშნული სამუშაოების განხორციელებისას არ არის გათვალისწინებული მძიმე ტექნიკის გამოყენება. მილის განთავსება გრუნტში და მდინარის კალაპოტში განხორციელდება მუშა პერსონალის მიერ ხელით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ზედაპირული წყლის ობიექტზე უარყოფით ზემოქმედებას. მილის განთავსების დროს არ არის დაგეგმილი მდინარეში რაიმე ტიპის ხელოვნური ნაგებობის აშენება ან მოწყობა, რომელიც ზემოქმედებას იქონიებს მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე და იქტიოფაუნაზე, განსახორციელებელი სამუშაოების სპეციფიკის და მასშტაბის გათვალისწინებით სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც დაბალი.

სამშენებლო სამუშაოების პროცესში ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გარემოსდაცვითი მენეჯმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე, ასევე ნარჩენების მართვასა და ტექნიკის გამართულობაზე დაწესებული მონიტორინგის ხარისხზე. აღნიშნული კუთხით ასევე მნიშვნელოვანია სამშენებლო მოედნის მომიჯნავედ ნიადაგის დაცვა დაბინძურებისაგან.

ექსპლუატაციის ეტაპზე ზემოქმედების თვალსაზრისით, პროექტმა შეიძლება იქონიოს მდინარეზე შემდეგი სახის ზემოქმედებები:

- მდინარის დებიტის ცვლილება (ბუნებრივი ჩამონადენის შემცირება);

გამომდინარე იქედან, რომ პროექტით არ არის დაგეგმილი მდინარეში წყლის ჩაშვება, როგორც მშენებლობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე რაიმე სახის უარყოფითი ზემოქმედება ამ მხრივ მდინარის წყლის ხარისხზე არ არის მოსალოდნელი.

შპს „გეოკროპ“-ს მიერ შპს „მელიორაცია“-სგან და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტო“-სგან მოხდა საპროექტო წყალაღების კვეთამდე არსებული წყალმომხამრებლების და წყალაღების ხარჯების დადგენა (იხ. დანართი 2). აღნიშნული მონაცემების მიხედვით დგინდება, რომ პროექტით დაგეგმილი წყალაღების ხარჯი მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედებას ვერ მოახდენს მდინარის დებიტზე, ხოლო მოსალოდნელია ზედაპირული წყლის ობიექტის ხარჯის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედება იქნება სეზონური, მხოლოდ 7 თვის განმავლობაში (მარტი-სექტემბრის ჩათვლით). მდინარიდან წყალაღების კვეთში ჩატარებული

ჰიდროენერგეტიკული გაანგარიშების მიხედვით სამელიორაციო სისტემის მიერ ასაღები წყლის საანგარიშო ხარჯმა შეადგინა  $0.02 \text{ m}^3/\text{წმ-ში}$ , რომელიც ნაკლებია 99% მინიმალურ ხარჯზე ( $1.32 \text{ m}^3/\text{წმ}$ ) და ხოლო დარჩენილი წყალი ბევრად აღემატება ეკოლოგიურ ხარჯს. ეკოლოგიური ხარჯის ოდენობად განისაზღვრა  $0.94 \text{ m}^3/\text{წმ}$  (რაც საპროექტო კვეთში ბუნებრივი 50%-იანი უზრუნველყოფის საშუალო ხარჯის დაახლოებით 10%-ს შეადგენს).

- მდინარის წყალაღების წერტილიდან ქვედა ბიეფში პერიოდულად, განხორციელდება გატარებული ეკოლოგიური ხარჯის კონტროლი.
- სატუმბი სადგურის მუშაობისთვის, რომელიც განთავსება დაგეგმილია მდინარის მარცხენა ჭალისზედა ტერასაზე, საწვავის გამოყენება არ მოხდება, სატუმბი სადგური იმუშავებს ელექტროენერგიაზე.
- №440 ტექნიკური რეგლამენტის „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ 75 კმ-მდე სიგრძის მდინარეებისთვის წყალდაცვითი ზოლის სიგანე მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს შეადგენს 30 მ-ს. გამომდინარე იქნება, რომ მდ. მაშავერას სიგრძე შეადგენს 66 კმ-ს. მდ. მაშავერას წყალდაცვითი ზოლის ტერიტორიაზე, პროექტის ფარგლებში არ ხდება ჰიდროტექნიკური ნაგებობის (რეზერვუარი, დამბა) მშენებლობა ან სხვა სამშენებლო სამუშაოების წარმოება. დაგეგმილია მხოლოდ მარტივი ტიპის ერთსართულიანი სატუმბი სადგურის განთავსება, რომლის მოწყობა არ ითავლის წინებს ხე-მცენარეულის საფარის ჭრას.
- პროექტის განხორციელებისას მიწისქვეშა წყლებზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევიდან ჩანს რომ ჭაბურღილების გაყვანისას საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლები არ გამოვლენილა.
- სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი არ არის საწვავის რეზერვუარის განთავსება და სამშენებლო ტექნიკის საწავავით გამართვა, რაც გამორიცხავს ნიადაგის მასშტაბურ დაბინძურების რისკს. გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები დაკავშირებულია მხოლოდ მომუშავე ტექნიკიდან საწვავის ავარიულ დაღვრასთან და დამაბინძურებლების ღრმა ფენებში გადაადგილებასთან. რისკების შემცირებისთვის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დაბინძურებული ფენის დროულ მოხსნას და რემედიაციას. გრუნტის წყლების დაბინძურების რისკების პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია ასევე, ნიადაგის/გრუნტის ხარისხის დაცვასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება.
- სამშენებლო მოედნის ტერიტორიაზე ჩარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვება მოხდება საასენიზაციო ორმოში, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.
- აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანმიმართული გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების პირობებში, წყლის გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელოვნება, შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, მთლიანობაში შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.

#### 4.6 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

საპროექტო საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია მაღალი ანთროპოგენური ზემოქმედების მქონე ტერიტორიებზე, რომელიც წლების განმავლობაში გამოიყენებოდა აქტიურად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მრავალწლიანი და 8 სმ-ზე დიდი დიამეტრის მქონე ხეების ჭრას. ტერიტორიაზე წარმოდგენილია ერთეული ბუჩქოვანი მცენარეები და დეგრადირებული ბალახოვანი საფარი. მათგან არცერთი არ წარმოადგენს საკონსერვაციო თუ რაიმე სხვა სახის ღირებულ სახეობას. შესაბამისად, ამ მხრივ ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც მაღალი დაბალი.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიები ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებით, ცხოველთა ველური ბუნების სახეობების საბინადრო ჰაბიტატები პრაქტიკულად არ არსებობს. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ შეიძლება მოხდეს მხოლოდ ის სახეობები, რომლებიც ადაპტირებული არიან გარემოსთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორია ნაწილობრივ შემოსაზღვრულია ხის ღობით და დაცულია ცხოველების ტერიტორიაზე მოხვედრისგან.

აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე პერიმეტრის სიახლოეს ხეებზე ფრინველთა ბუდეები დაფიქსირებული არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის მასშტაბის გათვალისწინებით, როგორც მშენებლობის ისე ექსპლუატაციის პროცესში, ცხოველთა სახეობებზე ზემოქმედების რისკი მინიმალურია.

პროექტის განხორციელების ადგილის ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება საჭირო არ იქნება.

დაგეგმილი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

- მშენებლობის ფაზაზე ორმოები, ტრანშეები და შემოზღუდულ უნდა იქნას რაიმე წინააღმდეგობით ან მკვეთრი ფერის ლენტით, ცხოველების შიგ ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად. აგრეთვე, ორმოებში ღამის საათებში ჩადგმული იქნას ფიცრები, მასში შემთხვევით მოხვედრილი ცხოველების ამოსვლის გასაიმულებლად, ხელოვნური შუქის მინიმალური გამოყენება სინათლის გავრცელების შემცირების მიზნით;
- სპეც/ტექნიკიდან ნავთობპროდუქტებისა და სხვა ნივთიერებების დაღვრის პრევენციული ღონისძიებების გატარება;
- ნარჩენების სათანადო მენეჯმენტი.

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორიას წარმოადგენს სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლი, რომელიც დაშორებულია 9 კმ-ით ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. პროექტის მასშტაბის გათვალისწინებით დაცული ტერიტორიების ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### 4.7 ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება

ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შეფასება მეტ-ნაკლებად სუბიექტურ ხასიათს ატარებს. შეფასების კრიტერიუმებად აღებულია ზემოქმედების არეალი და ხანგრძლივობა, ასევე, ლანდშაფტის ფარდობითი ეკოლოგიური ღირებულება.

სამშენებლო სამუშაოების პერიოდში მცირე დროით (მაქსიმუმ 180-190 დღე) სავარაუდოდ ადგილი ექნება გარკვეულ ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებას: სატრანსპორტო ნაკადების ზრდის, სამშენებლო მოედნების, მომუშავე ტექნიკის და ხალხის, მშენებარე კონსტრუქციების, სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების არსებობის გამო.

მოწყობის ფაზაზე იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დასახლებული პუნქტი 21 კმ-ით არის დაშორებული, ვიზუალურ ლანდშაფტური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება მხოლოდ ტერიტორიაზე გადაადგილებული პირებისთვის - პერსონალისთვის.

მშენებლობის ფაზაზე ზემოქმედების შემცირების მიზნით მოხდება დროებითი კონსტრუქციების, მასალების და ნარჩენების ისე განთავსება, რომ ნაკლებად შესამჩნევი იყოს ვიზუალური რეცეპტორებისთვის.

ექსპლუატაციის ფაზაზე, საპროექტო ტერიტორიაზე გაშენდება ნუშის მრავალწლიანი ნარგავები, სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდება სარეკულტივაციო სამუშაოები, რაც პირიქით დადებითი ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილების მომტანი იქნება და საბოლოოდ ხელს შეუწყობს კულტურული ლანდშაფტის განვითარებას.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი.

#### 4.8 ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება

პროექტის ფარგლებში, მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლებელია წარმოიქმნას საყოფაცხოვრებო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენი.

მშენებლობის ეტაპზე ნარჩენების მართვა დაკავშირებული იქნება ექსკავირებული ფუჭი ქანების მართვასთან, მშენებლობის ეტაპზე წარმოქნნილ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან, სამშენებლო მასალების შესაფერ მასალებთან და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების სეპარირებულ მართვის საკითხებთან.

2019 წლის 30 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილების (N 661) მიხედვით „ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულების რეგულირების წესის შესაბამისად, 2025 წლის 1 იანვრამდე ფიზიკური ან იურიდიული პირი თავისუფლდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების ვალდებულებისაგან, თუ იგი ახორციელებს სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის 28 ივლისის №10 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალით გათვალისწინებულ ან სხვა საქმიანობას და წლის განმავლობაში წარმოქმნის 120 კგ ან ნაკლები ოდენობის სახიფათო

**ნარჩენს.**“ ამ საკითხის გათვალისწინებით, ვინაიდან გათვალისწინებული არა არის 120 კილოგრამზე მეტი სახიფათო ნარჩენის წარმოქმნა შპს „გეოკროპ“ აღნიშნული პროექტის ფარგლებში თავისუფლდება „ნარჩენების მართვის გეგმის“ მომზადებისგან.

ექსკავირებული გრუნტი არ განიხილება ინერტულ ნარჩენად, რადგან იგი სრულად იქნება გამოყენებული უკუყრის სამუშაოებისთვის და რეზერვუარის დამბის მოსაწყობად.

შერეული საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილ იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, შესაბამისი სამსახურის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

ასევე, შესაძლებელია განხილული იყოს სპეციალური ტექნიკიდან და ა/ტრანსპორტიდან ავარიულად დაღვრილი საპოხი მასალების და საწვავის მართვის დროს წარმოქმნილი ნარჩენებიც. სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკის და სამშენებლო ტექნიკის ოპერირების შეფასების საფუძველზე და ნარჩენების მართვის შესაბამისი შემარბილებელი და მონიტორინგული ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში შესაძლებებლია აღნიშნული ზემოქმედებები შეფასდეს როგორც უმნიშვნელო გარემოს კომპონენტებზე.

პროექტის ორივე ფაზაზე დაგეგმილია ნარჩენების სეპარირებული მართვა და შესაბამისი მონიტორინგის განხორციელება.

სახიფათო ნარჩენების მართვის კუთხით რისკები მინიმალურია, რაც ძირითადში დაკავშირებულია სპეც/ტექნიკის ექსპლუატაციასთან - არ დაიშვება გაუმართავი ტექნიკა სამუშაო მოედანზე.

ექსპლუატაციის ფაზაზე შესაძლოა წარმოიშვას მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენები (ზეთიანი ჩვერები, ნათურები და ა.შ), რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა ნებართვის მქონე კონტრაქტორებისთვის შემდგომი მართვისთვის.

ამრიგად, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული რისკები შეიძლება შეფასდეს როგორც დაბალი, რაც მნიშვნელოვან შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული არ იქნება.

#### 4.9 ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიაზე

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს წარმოდგენილი არ არის ჭარბტენიანი ტერიტორია. შესაბამისად, მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში ზემოქმედება ამ მხრივ მოსალოდნელი არ არის.

#### 4.10 ზემოქმედება შავ ზღვაზე და სანაპირო ზოლზე

საპროექტო ტერიტორია შავი ზღვიდან დაშორებულია 260 კმ-ზე მეტი მანძილით, შესაბამისად პროექტის სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე ზემოქმედება ამ მხრივ მოსალოდნელი არ არის.

#### 4.11 ზემოქმედება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია (სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია) მდებარეობს საპროექტო მილსადენის დერეფნიდან 2-3 მ-ის

მოშორებით. არსანიშნავია, რომ მიღსადენის დერეფანსი მრავალწლიანი ხე-მცენარეული საფარის ჭრა დაგეგმილი არ არის. დაგეგმილი სამუშაოების მოცულობას, სპეციფიკას და ამასთანავე მანძილს ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან შეიძლება ითქვას რომ პროექტის განხორციელებისას ზემოქმედება ამ მხრივ მოსალოდნელი არ არის და არ საჭიროებს რაიმე შემარბილებელ ღონისძიებების გატარებას.

#### 4.12 ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე

საპროექტო ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერების დროს უშუალოდ ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ დაფიქსირებულა.

საპროექტო ინფრასტრუქტურის მოწყობის ფაზაზე გრუნტის ექსკავირების პროცესში, რაიმე არტეფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში სამუშაო პროცესი შეჩერდება, ეცნობება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს. მათი წარმომადგენლის გარეშე არ მოხდება რიამე სამუშაოს წარმოება. არტეფაქტის აღმოჩენის შესწავლისთვის მოწვეული იქნება ექსპერტები და მათი რეკომენდაციის შესაბამისად გაგრძელდება შესაბამისი სამუშაოები.

#### 4.13 ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე

დაგეგმილი საქმიანობის ორივე ფაზაზე სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელია დადებითი ზემოქმედება. დადებითი ზემოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს დასაქმების საკითხი, რადგან მშენებლობის ეტაპზე დასაქმებული იქნება დაახლოებით 12-15, ხოლო ექსპლუატაციის ფაზაზე მუდმივას დასაქმებული იქნება 10 ადამიანი.

მართალია აღნიშნული ფაქტი სრულიად ვერ გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების და შესაბამისად ეკონომიკურ მდგომარეობას, თუმცა დაგეგმილი საქმიანობა მცირდით, მაგრამ დადებით გავლენას იქონიებს დასაქმებული ადამიანების ოჯახების კეთილდღეობაზე. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მშენებლობის ასევე, ექსპლუატაციის ფაზაზე დასაქმებულთა უმრავლესობა იქნება ადგილობრივი მოსახლეობა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ ადგილობრივ ბაზარზე გაჩნდება ეროვნული წარმოების პროდუქტი, რომელიც დღეისათვის დიდი მოცულობით შემოდის საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. შესაბამისად იმპორტირებულ პროდუქტს ჩაანაცვლებს ადგილობრივ ბაზარზე წარმოებული პროდუქცია, რაც თავისი დადებითი ზემოქმედების მატარებელია, როგორც ადგილობრივი ასევე ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის თავლსაზრისით.

აღსაღნიშნია ასევე, რომ კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის გარკვეული ნაწილი გატანილი იქნება საექსპორტოდ, რაც ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისათვის.

#### 4.14 ტრანსასაზღვრო ზემოქმედება

საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბების და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ტრანსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### 4.15 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

საპროექტო ინფრასტრუქტურის მოწყობის ეტაპზე, სატრანსპორტო ოპერაციებთან დაკავშირებული ზემოქმედებიდან აღსანიშნავია:

- ადგილობრივი გზების საფარის ტექნიკური მდგომარეობის გაუარესება;
- სატრანსპორტო ნაკადების ინტენსივობის უმნიშვნელო ზრდა;
- სატრანსპორტო ავარიებთან დაკავშირებული რისკები.

მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ოპერაციები მჭირდოდ დასხლებული პუნქტების მიმართულებით არ არის მოსალოდნელი, რადგან თვითონ საპროექტო ტერიტორია და პოტენციური ობიექტები, რომლებიდანაც განხორციელდება ნედლეულის შემოტანა და გატანა, მჭიდროდ დასასახლებულ პუნქტებში არ მდებარეობს. პირველი ფაზის-ტექნიკის სამუშაო მოედანზე მობილიზაციის შემდგომ მნიშვნელოვანად მცირედება სატრანსპორტო ოპერაციები, ის მხოლოდ მუშა პერსონალის ტრანსპორტირებისთვის განხორციელდება, რაც დღეში ორ ოპერაციას არ აღემატება.

ზემოაღნიშნული გარემოებების შეფასებით შეგვიძლია დაცასკვნათ, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში სატრანსპორტო ოპერაციებით მნიშვნელოვან ზემოქმედებას ადგილი არ ექნება და შესაბამისად განსაკუთრებული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება არ იქნება საჭირო.

#### 4.16 მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება

მოცემული ქვეთავის ფარგლებში განხილულია საპროექტო ტერიტორიის და საკვლევი რეგიონის ფარგლებში სხვა პროექტების (არსებული თუ პერსპექტიული ობიექტების) კომპლექსური ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, რაც ქმნის კუმულაციურ ეფექტს. კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად გაცილებით მაღალი და საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია.

არსებულ და საპროექტო რეზერვუარებს შორის მანძილი შეადგენს 1.8 კმ-ს. გამომდინარე იქიდან რომ მიმდებარე ტერიტორიები წლების მანძილზე განიცდიდნენ გაუდაბნოების პროცესს და მიმდებარე ტერიტორიები მრავალწლიანი ხე-მცენარეულის საფარით ღარიბია. რეზერვუარებიდან აორთქლებული წყალი გამოიწვევს დადებით კუმულაციურ ზემოქმედებას და ხელს შეუწყობს ხე-მცენარეული საფარის ზრდას.

საპროექტო ტერიტორიიდან 1 კმ რადიუსის მანძილზე, სამშენებლო სამუშეობი ამჟამად არ მიმდინარეობს, შესაბამისად, ხმაურით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ცვლილებით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

## დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

საჯარო რეესტრიდან ამონაწერი (საკადასტრო კოდები: 80.02.61.291; 80.02.61.290; 80.06.61.422; 80.06.61.658; 80.06.61.656; 80.06.61.655; 80.06.61.657)



მიწის (უმრავეს ჭირების) საკადასტრო კოდი **N 80.02.61.290**

### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882020905267 - 27/11/2020 18:25:31

მომზადების თარიღი  
08/12/2020 21:25:05

#### საკუთრების განყოფილება

შონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ფასი: საკუთრება
ბოლნისი	ნახილერი			ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)
<b>80</b>	<b>02</b>	<b>61</b>	<b>290</b>	დამუსტებული ფართობი: 192800.00 კვ.მ.
				ნაკვეთის წინა ნომერი: 80.02.61.052;

მისამართი: რაიონი ბოლნისი, სოფელი ნახილერი

#### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია: ნომერი 882020880860, თარიღი 18/11/2020 16:32:44  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/11/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უმრავეს ჭირების გადაუემის ხელშეკრულება N200944957, დამოწმების თარიღი: 18/11/2020, ნოტარიუსი ბ. ბერიძე

მესაკუთრები:

შპს "გეოკროპ", ID ნომერი: 405409311

მესაკუთრე:

შპს "გეოკროპ"

აღწერა:

#### იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია იპოთეკარი სააქციო სამოგადოება "საქართველოს ბანკი" 204378869;  
ნომერი 882020905267 საგანი: დამუსტებული ფართობი: 192800.00 კვ.მ.;  
თარიღი 27/11/2020 18:25:31 იპოთეკის ხელშეკრულება NCAH000456661, რეესტრის ნომერი NCAH-01/00, დამოწმების თარიღი 27/11/2020, საქართველოს ოუფიციალური სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 08/12/2020

საგადასახლო გირაფნია:

რეგისტრირებული არ არის

#### ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <http://public.reestri.gov.ge>

გვერდი: 1(2)

## რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

## რეგისტრირებული არ არის

---

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლის მდგრადი გადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქციების რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მოღებისას საშემოსაფლო გადასახადი გადახდის ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანიზოს. აღნიშნული ვალიურებულების შესრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოლექს X VIII თავის მიხედვით."

- ღირებულების ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამინისტრის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), წესიმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლება და საგანგიზის ავტომატურ სისტემის სამინისტროში;
- ამინისტრმ ტექნიკურ ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ოსტაციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მრავალნ უკანონი ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თვეენთვის საინტერესო წებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)



მიწის (უმრავეს ქონების) საკადასტრო კოდი N 80.02.61.291

### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია

N 882020905205 - 27/11/2020 18:09:01

მომზადების თარიღი

09/12/2020 21:05:52

### საკუთრების განცოფილება

შონა ბოლნისი	სექტორი ნახილერი	კვარტალი ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ფიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დამტესებული ფართობი: 192800.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 80.02.61.052;
80	02	61	291

### მესაკუთრის განცოფილება

განცხადების რეგისტრაცია: ნომერი 882020880893, თარიღი 18/11/2020 16:38:03  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/11/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების გადაცემის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N200944952, დამოწმების თარიღი: 18/11/2020, ნოტარიუსი ხატია ბერიძე

მესაკუთრები:

შპს "იდეა აგრო", ID ნომერი: 405407304

მესაკუთრე:

შპს "იდეა აგრო"

აღწერა:

### იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882020905205 თარიღი 27/11/2020 18:09:01	იპოთეკარი სააქციო სამოგადოება "საქართველოს ბანკი" 204378869; საგანი: დამტესებული ფართობი: 192800.00 კვ.მ.;
	იპოთეკის ხელშეკრულება N CAH00045664, დამოწმების თარიღი: 27/11/2020, საქართველოს ოსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.,

უფლების  
რეგისტრაცია: თარიღი  
09/12/2020

საგადასხადო გირაფონია:

რეესტრირებული არ არის

### ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული ან არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული ან არის

---

"ფიზიკური პირის შექმნა წლის 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციის, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი დარტულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემოსაველი გადასახადი გადახდის ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფაქტი უკრია პირი მავავე ვადში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანიზ. აღნიშნული ვალიუტების შექმნულებლისა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდამცველას, რაც იწვევს პასუხისმგებლისას საქართველოს საგადასახადო კოლექსის XVIII თავის მიხედვით."

- ღიკებული ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებშა და სააგენტოს ავტომატურ პრინტაპზ;
- ამონაწერის გენერირი ხარჯების დამონიტრირებით: 2 405405 ან მირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ოუკრიცის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელია მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვაკაუშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- ოქმინვეს საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)



N 80.06.61.422

### ამონაშერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია

N 882020905254 - 27/11/2020 18:19:56

მომზადების თარიღი

03/12/2020 23:54:12

### საკუთრების განცოფილება

ბონა ბოლნისი	სექტორი ქ. ბოლნისი	კვარტალი 60	ნაკვეთი 61	ნაკვეთის საკუთრების ფიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დამტესებული ფართობა: 62100.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 80.06.30.039;
მისამართი: ქალაქი ბოლნისი				

### მესაკუთრის განცოფილება

განცხადების რეგისტრაცია: ნომერი 882020880813, თარიღი 18/11/2020 16:26:58  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/11/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების გადაცემის ხელშეკრულება N200944957, დამოწმების თარიღი: 18/11/2020, ნოტარიუსი ხ. ბერიძე

მესაკუთრები:

შპს "გეოკროპ", ID ნომერი: 405409311

მესაკუთრე:

შპს "გეოკროპ"

აღწერა:

### იპოთეკა

